# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№42-43 (9873-9874) 2025 წლის 24 მარტი, ორშაბათი




## „არასოდეს“!

### ქეთევან დედოფალი

რვალის ქვაბი მოეთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა
კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ზე მიჰქონდა, ღრუბლებისკენ ცეცხლი ქარსა,
ქროდა ქარი...
თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
ტინად იდგა დედოფალი...
თმა დაშლოდა, თავი ნაზად დაეხარა,
სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა...
ლოცულობდა...
როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:
„არასოდეს!“
დაფდაფებს ჰკრეს განარისხთა,
ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან,
ცხელი რკინა,
საქართველოს გულს რომ კვეთდა.
რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
ღიღინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
ქროდა ქარი...
ცეცხლით სწვავდნენ
ტანშეძარულ დედოფალსა,
უდრეკ იყო დედოფალი!

**ანა კალანდაძე**



## ცრემლის ლაქები

საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი. წიგნის ფურცლებს დღესაც ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნაწვეთალი.

**გიორგი ლეონიძე**

**როინ მეტრეველი**

# სხვაობა 600 წელი



დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა



პეტრე პირველი, მეფე და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, და სხვათა და სხვათა და სხვათა...

4-5

ნაშრომი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობ, საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწერა და დაიბეჭდა. იგი ისტორიოგრაფიაში ე.წ. „პარალელური“ ბიოგრაფიების ჟანრის ნაწარმოებია და ეხება ორ დიდ ისტორიულ მოღვაწეს – დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს. კოლეგებისა თუ მონაფეებისაგან არაერთგზის მქონდა თხოვნა, ხელახლა მიმეწოდებინა მკითხველისათვის ეს ნარკვევი, მეორედ გამომეცა. წინამდებარე ნაშრომი ამ თხოვნების გათვალისწინების შედეგია. ამასთან, იგი არის რამდენადმე გადამუშავებული, შევსებული და რედაქტირებული მასალა. ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა მას.

2

## ერთობლივი მემორანდუმი ვალმოხდილ ვეტერანებთან

## ქართული ჟურნალისტიკის სადაგი დღეები

**თეიმურაზ ქორიძე**

## ჟურნალისტიკა – აზრების სიტყვებით გადმოცემის ხელოვნება

3



თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ საქართველოს ნაკრებმა სომხეთის ეროვნულ ნაკრებთან ორთაბრძოლა ანგარიშით 6:1 მოიგო, ერევანში გამართული მატჩის შედეგით თუ ვიმსჯელებთ (3:0 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ), ორ დღეში გამართულ საპასუხო შეხვედრაში საოცრებას მართლა არ ველოდით, მით უმეტეს, პირველ ტაიმში გატანილი ხუთი უპასუხო გოლის შემდეგ...

გამარჯვებებით გვლოთ, ქართველო ფეხბურთელებო, წინ ევროპის გრანდები გელიან!



## „ბრავო!“

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



**გიორგი მამაცაშვილი,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე

# ჟურნალისტიკა ერთი დიდი პროფესიული ოჯახია

## და შემცდარნიცა და შეუმცდარნიც საქვეყნო საქმის მსახურებას ცდილობენ...

**წლებია, 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღეს აღვნიშნავთ!**

**წლებია,** ქართველი ჟურნალისტები ერთმანეთს ვეჯიბრებით ერთმანეთის ჩაგვრაში და ერთმანეთზე გავლენის მოპოვებაში.

წლებია, ჟურნალისტის სტატუსი ცილისწამებასთან, დაუმსახურებელ შეურაცხყოფასთან და ცინიზმთან ასოცირდება ბევრისთვის.

•

**არადა, ჟურნალისტიკა ზნეობისა და მორალის ქვაკუთხედია.**

ჟურნალისტიკა სინდისია, რომელიც ხშირად ქაღალდზე დაწერილი სახით გვხვდება და ხშირად – ტელე-რადიოეთერის საშუალებით გვახსენებს თავს.

ჟურნალისტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა და ნიკო ნიკოლაძის რჩევათა ჭიდილია.

ჟურნალისტიკა ის სიფრთხილეა, როდესაც სკანდალისა და ე.წ. ექსკლუზივის გამო საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცების ადგილმდებარეობას არ ასახელებ პირდაპირ ეთერში და სახელმწიფოებრივად აზროვნებას გაჩვევს ადამიანს.

ჟურნალისტიკა ის ერთადერთი სიმართლეა, რომელიც ფაქტსაც ასახავს, საკუთარ პოზიციასაც გაფიქსირებინებს და არც კაცს ჰკლავს!

ყოველ შემთხვევაში, მე ასეთად წარმომიდგენია.

•

**ჟურნალისტიკა ის პროფესიაა,** როდესაც კოლეგას თამამად ულოცავ დაბადების დღეს და იმის შიში არ გეუფლება, ვინმე რომ გადმოდგება და მორალს წაგიკითხავს, დაგჩაგრავს, აბუჩად აგიგდებს და საჯიჯგნად გადაუგდებს შენს თავს მავანთ.

•

**ჟურნალისტიკა ის პროფესიაა,** რომელიც ბარიკადებზე ერთ მხარეს გამყოფებს თუნდაც აზრობრივად და იდეოლოგიურად დაპირისპირებულ საკუთარ კოლეგასთან და ქვის სროლას არ იწყებ.

მეტიც: შესაძლოა, საკუთარი კოლეგისთვის ნასროლ ტყვიასაც კი თამამად და სიამაყით გადაეფარო!

ეს არის ჟურნალისტიკა!

•

**ჟურნალისტიკა** ერთი დიდი პროფესიული ოჯახია და შემცდარნიცა და შეუმცდარნიც საქვეყნო საქმის მსახურებას ცდილობენ...

•

**ჟურნალისტიკაზე** და ჟურნალისტებზე ვსაუბრობ ამ შემთხვევაში და არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის აქტივისტთა ჯგუფზე ან ფინანსურად ანგაჟირებულ და ანგარებით გამაძღარ სუბიექტებზე...

•

**ჟურნალისტობა,** წლებია უკვე, პროფესიად აღარ მოიაზრება ჩვენში და ჟურნალისტები მარტოდენ რომელიმე პოლიტიკური ძალის გამპიარებლებად აქციეს ჩვენში პოლიტიკოსებმა თუ პოლიტიკანებმა.

სამწუხაროდ, ჟურნალისტიკა ე.წ. პიარმა ჩაანაცვლა და მეტიც – თუ ვინმეს მიკროფონი უჭირავს ხელში და სოციალურ ქსელში ორ სიტყვას აბამს ერთმანეთზე, ჟურნალისტად მოაქვს თავი.

არადა, ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა – პასუხისმგებლობაა!

პასუხისმგებლობა მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის წინაშე და პასუხისმგებლობა – საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

ესეც ჩაივლის.

ესეც გაივლის.

ისევ იქცევა ჟურნალისტიკა საამაყო პროფესიად და ისევ დაიბრუნებს ღირსებას ქართული ჟურნალისტიკა!

გულწრფელად მჯერა ამის.

•

**და** ვისაც ჩემსავით აქვს რწმენა პროფესიული ღირსების დაბრუნებისა, – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სახელით, ჟურნალისტური სიამაყის განცდით ვულოცავ 21 მარტს – ქართული ჟურნალისტიკის დღეს!

ზნეობის სადარაჯოზე ვმდგარიყავით მუდამ და გვახსოვდეს – საქართველოა ჩვენი სამშობლო!

## სიტყვას საქმე მოჰყვება

# ერთობლივი მემორანდუმი ვალმოხდილ ვეტერანებთან



**21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა კობა კობალაძემ და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ გიორგი მამაცაშვილმა მოაწერეს.**

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარესთან გიორგი მამაცაშვილთან, ჟურნალისტთა ფედერაციის წარმომადგენლებთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე და ომისა და სამხედრო თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტებთან, სტუდენტებთან, ოპერატორებთან, ფოტოკორესპონდენტებთან;

სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე, **გიორგი მამაცაშვილი**, ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეები **ჯაბა ხუბუა** და **გოჩა ხუნდაძე**, ჟურნალისტთა ფედერაციის მდივანი **თეიმურაზ ქორიძე**; ჟურნალისტები: **მამუკა არეშიძე, თენგიზ პაჭკორია, გოგიტა მელიქიძე, ირინა გოგოსაშვილი, კობა ბენდელიანი, იური მეჩითოვი, ბესო ჩუბინიძე, მალხაზ გულაშვილი, ქეთი ხომერიკი, ეკა გულუა, შახვალად აივაზოვი, ირაკლი გედენიძე, ქეთი ხოსიტაშვილი, დარეჯან კვარაცხელია, გიზო ქუტიძე, თამუნა დუღაშვილი, თეიმურაზ კვირკველია, გურამ გორელიშვილი, ზაირა მიქატაძე** და სხვები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ვეტერანთა სამსახურის წარმომადგენლები **ჯანდრი უზირია, მირონ ჩიგოგიძე, ვლადიმერ იმნაძე, ნიკოლოზ კვეზერელი** და სხვები, გარდაცვლილი ოპერატორის **ჯანო ინაძისა** და ფოტორეპორტიორ **ზურაბ ქურციკიძის მეუღლეები, გარდაცვლილ ვეტერანთა შვილები...** ვეტერანთა სამსახურისა და ჟურნალისტთა ფედერაციის ერთობლივი მემორანდუმის ფარგლებში, სამომავლოდ რამდენიმე ღონისძიება დაანონსდა.



საქართველოს რესპუბლიკა

**ეტყობა, მართლაც დავბერდი... ჯერ ერთი, დღეს, 2025-ის 24 მარტს 75 წლისა შევსრულდი და, რაც მთავარია, ერთი სული მაქვს, ამ ცხოვრების ამაოებაზე წავიწუწუნო. კიდე კაი, გაზეთის ფორმატი და რედაქცია ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ ჩემი ახალგაზრდა კოლეგებისა და ჟურნალისტობაზე მეოცნებე საზოგადოების გასაგონად ძალიან მოკლედ ვიტყვი, როგორ გახდა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი და სინქრონისტი-თარჯიმანი თეიმურაზ ქორიძე პროფესიონალი ჟურნალისტი იმ შორეულ კომუნისტურ ეპოქაში. მეტიც, ჟურნალისტური საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ერთ-ერთი უპოპულარესი ჟურნალისტის სახელი მოიხვეჭა პარტიული გაზეთის (იმდროინდელი „თბილისი“ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანო გახლდათ) სრულიად უცნობმა უპარტიო თანამშრომელმა.**

**ჟურნალისტობაზე ოდესმე მიოცნებია კი არა, გულშიაც არ გამივლია. საქმე ის არის, რომ უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის, მოგვიანებით – სინქრონული თარგმნის უმაღლესი სკოლის დამთავრების, მოსკოვში თარჯიმნად მცირეხნიანი მოღვაწეობის, თბილისში სახელმწიფო მომარაგების მთავარ სამმართველოში (ГОССНАБ), ქარხანა „მიკროძრავაში“, მერე თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში (ღამის ყარაულად) მუშაობის შემდეგ უმუშევარი აღმოვჩნდი.**

კომუნისტურ ეპოქაში უმუშევრობა დანაშაულად ითვლებოდა და, შესაბამისად, ისჯებოდა იძულებითი დასაქმებით ე.წ. შრომა-გასწორების კოლონიაში. ბევრი რომ არ გავაგრძელო, 1986 წლის გაზაფხულზე ციხეში გაგზავნის რეალური საფრთხის წინაშე აღმოვჩნდი. ამაში განსაკუთრებული დამსახურება ჩვენი უბნის იმჟამინდელ ინსპექტორს მიუძღვის. მილიციის მაიორი (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს) კვირაში ორჯერ მაინც მომინახულებდა ხოლმე, ეზოში ნარდს მეთამაშებოდა, ცხოვრების ამაოებაზე და საქართველოს ისტორიაზე მემუსაიფებოდა (საკმაოდ განათლებული და ცნობისმოყვარე კაცი იყო). მერე ჩემი უსაქმურობის თაობაზე ოფიციალურ ოქმს ადგენდა და პირველი მაისის რაიაღმასკომში აგზავნიდა. მეც რაიონის მუქთახორებთან და ქურდებთან ერთად მიბარებდნენ და ოფიციალურ გაფრთხილებებს მიწერდნენ.

საქმე ის არის, რომ უკვე საბოლოოდ გარყვნილი კომუნისტური მმართველობისას, უმაღლესი განათლების მქონე პირი ოფიციალურად მუშად ვერ დასაქმდებოდა. რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო თანამდებობის „დათრევა“ შესაძლებელი იყო კომპარტიის მანდატით, ვინმე გავლენიანი მფარველის „რეკომენდაციით“, ან მისი უდიდებულესობა ქრთამით.

**ვითარება მართლაც ტრაგიკული იყო – მეუღლე, ორი მცირეწლოვანი ბავშვი, ნაქირავები ბინა და შრომა-გასწორების კოლონიის რეალური საფრთხე.**

**ჩვენი ოჯახის უანგარო მეგობრის, რუსთაველის თეატრის მსახიობ ზეინაბ გოცვაძის შუამდგომლობით, ასე აღმოვჩნდი „თბილისის“ რედაქტორ არჩილ გოგელიასთან.**



არჩილ გოგელია

ბატონმა არჩილმა ყურადღებით მომისმინა, მაშინვე ვიღაცას ტელეფონით ესაუბრა, დამამშვიდა და მთხოვა, ჩემი ნაამბობი ქაღალდზე გადამეტანა. დავალება ოპერატიულად შევასრულე.

ორიოდე დღეში რედაქციიდან დამირეკეს და მისვლა მთხოვეს. მივედი. ბატონმა არჩილმა მითხრა, რომ აღარაფერი მემუქრებოდა და მალე რაიმე სამსახურსაც გამომიძებნიდა. დამშვიდობებისას კი ისე, სასხვათაშორისოდ მკითხა, ჩემთან მოტანილი იმ „მოხსენებითი ბარათის“ დაწერაში ვინ დაგეხმარაო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა და მეწყინა კიდეც. ჰოდა, შე კაი კაცო, თუ ასე წერა შეგიძლია, მოდი, ჩემთან, რედაქციაში იმუშავეო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

მეორე დღესვე გამაფორმეს შტატგარეშე კორესპონდენტად. ერთი თვის შემდეგ უკვე შტატიანი თანამშრომელი გავხდი. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ კი, როგორც გითხარით – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი ქართულ პრესაში.

იმის თქმა მინდოდა, რომ თეიმურაზ ქორიძის გაჟურნალისტებაში ჩემი დამსახურება მინიმალურია – უმაღლესი კლასის პროფესიონალმა არჩილ გოგელიამ ვიღაც „ქუჩის ბიჭის“ რუტინულ „მოხსენებით ბარათში“ ავტორის ჟურნალისტური შესაძლებლობები დაინახა და მერე ყველაფერი გააკეთა მის გამოსამზეურებლად.

ვამაყობ, რომ ენით უთქმელი კატაკლიზმების მიუხედავად, ჩვენი უანგარო მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ჩემს გაჟურნალისტებაში არჩილ გოგელიას გარდა დიდი დამსახურება მიუძღვით „თბილისის“ მაშინდელ თანამშრომლებს, შესანიშნავ ჟურნალისტებს და უანგარო ადამიანებს – **ირაკლი ბერიაშვილს, ლია გოდერძიშვილს, ნანა ჯოხარიძეს** და სხვებს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ.

დიდი მადლობა იმათაც, დასანახად რომ ვერ მიტანდნენ, „დანოსებს“ რომ მიწერდნენ და „ვიღაც ქუჩის ბიჭის“ რედაქციიდან გაძევებას მოითხოვდნენ – რომ არა ისინი, ალბათ ვერასოდეს მივხვდებოდი, როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი და ჟურნალისტიკა.



თეიმურაზ ქორიძე მეუღლესთან ერთად

# ჟურნალისტიკა – აზრების სიტყვებით გადმოცემის ხელოვნება

ბეჭდური ჟურნალისტიკის მრავალი განმარტებიდან ყველაზე მეტად ეს მომწონს: **„ჟურნალისტიკა არის აზრების წერილობით გადმოცემის ხელოვნება“.** ოღონდ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი პატარა ნიუანსიც – აზრები რომ წერილობით გადმოსცე (საინტერესოდ თუ უინტერესოდ), აზრები უნდა გქონდეს. აი, ამისთვის კი ბევრი, ძალიან ბევრი შრომა და ძალისხმევაა საჭირო.

იმის თქმა მინდა, რომ ჟურნალისტურ სარბიელზე წარმატების მოსაპოვებლად ენისა და ჟურნალისტიკის თეორიის თუნდაც სრულყოფილი ცოდნა საკმარისი არ არის. საჭიროა ფართო განათლება, განსაკუთრებით, ისტორიის განვითარების კანონზომიერებების, სამართლის და, თუნდაც, მათემატიკის საფუძვლებისა. ასეთ შემთხვევაში, თქვენი ჟურნალისტური ლოგიკა იქნება ურყევი და ოპონენტებს თქვენთან კამათის სურვილს დაუკარგავს. ამის გარდა, შესაძლებლობას მოგცემთ მრავალი წლით ადრე განჭვრიტოთ მოვლენათა განვითარება.

სამაგალითოდ, შემოგთავაზებთ ერთ ამონარიდს ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში გამოქვეყნებული ჩემი ერთ-ერთი წერილიდან:

**„იმ ადამიანებს, ვინც დღეს მართავენ საქართველოს სახელმწიფოს, არ შეუძლიათ დათმონ ძალაუფლება, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ამ დათმობას, როგორც გარდაუვალი შედეგი, მოჰყვება პასუხისგება მათ მიერვე ჩადენილი უპასუხისმგებლო ქმედებების გამო. არ ვახსენებ სიტყვას „დანაშაული“, რადგან სავსებით შესაძლებელია, მომავალმა ხელისუფლებამ წინამორბედს პასუხი იმის გამოც მოჰკითხოს, რაც მას არ ჩაუდენია. ერთი სიტყვით, მოიქცეს ზუსტად ისე, როგორც მოიქცა და ახლაც იქცევა თვითონ სააკაშვილის „ვარდების“ ხელისუფლება...**

**სააკაშვილის ხელისუფლებას უკან დახევა, ძალაუფლების ცივილიზებული გზით დათმობა იმადაც არ შეუძლია, რომ 2003 წლის ნოემბრიდან ხელისუფლებაში მყოფმა ძალიან ბევრმა ჩინოვნიკმა უამრავი და ძლევამოსილი პირადი მტრის შეძენაც მოახერხა. ვინაიდან, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, სამართალი ყველას საკადრისს ვერ მიუზღავს, ადრე თუ გვიან ისინი უეჭველად დაიწყებენ ნადირობას იმუნიტეტის გარეშე დარჩენილ ყოფილ ჩინოვნიკებზე. რაც ყველაზე სამწუხაროა, სავსებით შესაძლებელია, „კუდიანებზე ნადირობას“ უდანაშაულო ადამიანებიც შეეწირონ...“**

კომუნისტების მმართველობისას დაუნდობლად ვაკრიტიკებდი კომუნისტურ რეჟიმს. განსაკუთრებით, მაშინდელ ე.წ. სამართალდამცავ სისტემას. ვწერდი, რომ ეს სისტემა ხვალ უეჭველად დაინგრეოდა და ნანგრევებს ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირებოდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მისვლამდე ბევრჯერ დავწერე, რომ ეს იქნებოდა ქართველი ხალხის და პირადად გამსახურდიას ტრაგიკული შეცდომა, რადგან მართვის სისტემებში აბსოლუტურად გაუცნობიერებელი ადამიანების ხელისუფლების სათავეში აღზევება ყველა ქვეყანაში და ყველა ეპოქაში მუდამ კრახით მთავრდებოდა. მე „ქვეყნის მტრად“ და „პუტჩისტად“ შევირაცხე. ზვიად გამსახურდიამ და მისმა ხელისუფლებამ კი, სამწუხაროდ, სიცოცხლე და პოლიტიკური მოღვაწეობა ტრაგიკულად დაამთავრეს...

ბევრი ასეთი მაგალითის მოშველიება შემიძლია. და იმიტომ კი არა, რომ წინასწარმეტყველობაზე მაქვს პრეტენზია. იმიტომ, რომ ჟურნალისტური საქმიანობა დავიწყე 36 წლის ასაკში, ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებულმა; აუცილებელი საუნივერსიტეტო საგნების გარდა, მრავალი წლის განმავლობაში ჩემი გამზრდელი ბიძის, მაშინდელი რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის, მართლაც უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის (გამოიძია გაუხსნელი და თაროზე უიმედოდ შემოდებული მისთვის მინდობილი ყველა სისხლის სამართლის საქმე!), დავით ქორიძის ხელმძღვანელობით ვსწავლობდი სამართლის ფილოსოფიას. არა, არ მოგესმათ, სამართლის ფილოსოფიას და არა, უბრალოდ, სისხლის, კონსტიტუციურ ან ადმინისტრაციულ სამართალს.

მოკლედ, თუ ზოგადი წარმოდგენა მაინც გაქვთ ისტორიაზე, სამართლის თეორიაზე, მათემატიკაზე და კლასიკური არაბული ენის გრამატიკაზე, თქვენი ჟურნალისტური კარიერა გარანტირებულია!

არსებობს კიდევ ერთი საკრამენტული კითხვა – რას ელით თქვენი თუნდაც უკიდეგანო ჟურნალისტური შესაძლებლობების რეალიზაციისაგან. თუ ეს მოლოდინი ფინანსურ კეთილდღეობას ან კარიერულ წინსვლას უკავშირდება, აჯობებს გამოჩენილ ჟურნალისტობაზე ოცნებას სასწრაფოდ თავი დაანებოთ – ფულს იშოვით, მაგრამ პროფესიულად დიდიდიდი, ნანუკა ჟორჟოლიანის, ნოდარ მელაძის ან ნიკა გვარამიას „დონემდე“ ამაღლდეთ. თუ ფიქრობთ, რომ თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობას ყველა დაინახავს და ჯეროვნად დააფასებს, ამის იმედიც ნუ გექნებათ – თქვენი სამართლიანობისა და უანგარობის სანაცვლოდ, შესაძლებელია, მხოლოდ ლანძღვაგინება დაიმსახურით. თვით იმ ადამიანებისგანაც კი, ვისაც გვერდში ამოუდექით.

არ ვამტკიცებ, რომ ტკბილ სიტყვებს და დაფასებას ვერასოდეს მოიმკით.

პატიოსან ჟურნალისტურ საქმიანობას ბევრი სასიამოვნო და დასამახსოვრებელი ისტორიაც თან სდევს. დღევანდელმა ახალგაზრდობამ ისტორიიდან უეჭველად იცის, რა სიდუხჭირე, უსამართლობა და შიშიანობა მძვინვარებდა 90-იან წლებში. ერთხანს პურის შოვნაც კი ერთობ პრობლემური გახდა. სწორედ ამ დროს, კვირა დღეს, ჩვენი ნახალოვკის იტალიურ ეზოში მანქანით ვიღაც წარმოსადეგი გარეგნობის კაცი შემოვიდა და, ბუნებრივია, ეზოში მოთამაშე ბავშვების ყურადღება მიიქცია. მოულოდნელად, კაცმა ჯიბიდან ასდოლარებიანიის კუპიურები ამოიღო და გარს შემოხვეულ ბავშვებს ჩამოურიგა. მათ შორის – ჩემებსაც. მადლობის სათქმელად ეზოში ჩავედი.

სტუმარი გამეცნო – მე სამტრედიელი ბიზნესმენი **ჯუმბერ ნიკურაძე** ვარ, გაზეთებიდან გიცნობთ. ვიცი, რომ წარმოშობით თქვენც იქაური, დაფნარელი კაცი ხართ. ახლა ყველას უჭირს და იმედია, არ გეწყინებათ, ცოტათი მაინც რაღაცით თუ დაგეხმარებითო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს „ცოტა რაღაც“ აღმოჩნდა თითო ტომარა სიმინდისა და პურის ფქვილი, სამი ქათამი, გოჭი, ინდაური, ათი კილო ძროხის ხორცი, უამრავი ნამცხვარ-ტკბილეული, ერთი ყუთი შამპანური და ნაირნაირი სათამაშო ბავშვებისთვის.

იხ. 13 გვ.



## რონ მეტრეველი

# სხვაობა

## დავით აღმაშენებელი

*ნაშრომი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობ საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწერა და დაიბეჭდა. იგი ისტორიოგრაფიაში ე.წ. „პარალელური“ ბიოგრაფიების ჟანრის ნაწარმოებია და ეხება ორ დიდ ისტორიულ მოღვაწეს – დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს. კოლეგებისა თუ მოწაფეებისაგან არაერთგზის მქონდა თხოვნა, ხელახლა მიმეწოდებინა მკითხველისათვის ეს ნარკვევი, მეორედ გამომეცა. წინამდებარე ნაშრომი ამ თხოვნების გათვალისწინების შედეგია. ამასთან იგი არის რამდენადმე გადამუშავებული, შევსებული და რედაქტირებული მასალა. ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა მას.*

*პარალელური ბიოგრაფიების ჟანრი ისტორიოგრაფიაში პლუტარქემ დაამკვიდრა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. „ბიოი პარალელოჲ“ ძველი ბერძენი გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების აღწერასთან ერთად გადმოსცემს მისი ბადალი რომაელი მოღვაწის ბიოგრაფიას და მკითხველს აძლევს საშუალებას ერთმანეთს შეუდაროს ეს ორი ისტორიული პირი. ასე მაგალითად, თეზევსის ბიოგრაფიის გვერდით აღწერილია რომულუსის ცხოვრება. ასევე დაწყვილებულია სოლონი – პუბლიკოლა, პერიკლე – ფაბიუს მაქსიმუსი, ალკიბიადე-გაიუს მარციუსი (კორიოლანუსი), კიმონი – ლუკულესი, აგესილაე – პომპეუსი, ალექსანდრე მაკედონელი – იულიუს კეისარი, დემოსთენე – ციცერონი და სხვ.*

*პლუტარქეს ნაშრომს უდიდესი გამოძახილი ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში, ამ ისტორიის განვითარების ბევრ ეტაპზე. რენესანსის ეპოქაში, თუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს გატაცებით კითხულობდნენ „პარალელურ ბიოგრაფიებს“. შექსპირი და რასინი უხვად დაეწაფნენ პლუტარქესეულ თემებს. აღფრთოვანებული იყვნენ ამ ნაწარმოებით ვოლტერი, რუსო, ბელინსკი.*

*პლუტარქეს ძველი ქართული მწერლობაც კარგად იცნობდა.*

*ამჯერად ჩვენი მიზანია, გავიხსენოთ ეს ჟანრი და წარმოვაჩინოთ პარალელურად ორი დიდი ისტორიული მოღვაწე – დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი: XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო და XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი. 600 წელი აშორებს ერთ მეფეს მეორე მეფისაგან, ერთ ეპოქას მეორე ეპოქისაგან. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მეტად საინტერესოდ ემსგავსება ერთმანეთს ამ ორი ძველი ხალხის ისტორიაში. უმთავრესი ის არის, რომ სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია საქართველომ, ხოლო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა, განსაკუთრებულ სიძლიერეს; ერთიცა და მეორე სახელმწიფოც სწორედ ზემოხსენებულ მეფეთა მოღვაწეობის დროს იქცნენ ცენტრალიზებულ ქვეყნებად. ძლიერი იყო სამეფო ხელისუფლებაც, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სამეფო ხელისუფლება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა: „... Она была представительницей порядка в беспорядке“ (Ф. Энгельс, О разложении феодализма и возникновении национальных государств, К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 21, 1961, стр. 411*

*XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი გვაუწყებს: „... და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“ (ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 19)*

*ასევე ფართოა რუსეთის საზღვრები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. აშკარად ჩანს ქვეყნის სიძლიერე პეტრე პირველის ერთ სიგელში:„Божиею поспешествующею милостию мы, пресветлейший и державиейший великий государь, царь и великий князь Петр Алексеевич, всеа Великия и Малыя и Белыя России, самодержец московский, киевский, владимерский, новгородский, царь казанский, царь астраханский, царь сибирский, государь псковский и великий князь смоленский, тверский, югорский, пермский“... (Полномочная грамота И.Х. Урбиху к австрий-скому императору Карлу VI, Письма и бумаги императора Петра Великого, т. XII, 1975, стр. 217) და სხვ.*

*სწორედ პეტრე პირველის დროს დამკვიდრდა რუსეთი ბალტიის ნაპირებზე და მოიპოვა უმოკლესი სავაჭრო გზა ევროპასთან.*

*აი ყოველივე ამისთვის, არსებითი მსგავსებისათვის მიმოვიხილავთ დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის 600-წლოვანი ინტერვალის მქონე მოღვაწეობას.*

**„დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“.**

დავით აღმაშენებლის სამეფო ტიტული

**«Божиею милостию мы, Петр Первый царь и самодержец всероссийский, и прочая, и прочая, и прочая»**

პეტრე პირველის სამეფო ტიტული

ამთავითვე მოვიტანთ რამდენიმე ქრონოლოგიურ ფაქტს. დავით აღმაშენებელი დაიბადა 1072/3 წელს; 600 წლის შემდეგ, 1672 წლის 30 მაისს დაიბადა პეტრე პირველი. XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი მეფედ იწოდებოდა და ნომინალურად სახელმწიფოს თანამმართველის უფლებები ჰქონდა. 600 წლის შემდეგ, 1682 წლიდან პეტრე პირველიც ნომინალურად შეუდგა ქვეყნის მართვას.

1089 წელს დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა.

600 წლის შემდეგ, 1689 წელს პეტრე პირველი რუსეთის ფაქტობრივი ერთმმართველი შეიქმნა. დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს.

600 წლის შემდეგ 1625 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა პეტრე პირველი.

ახლა კი ამ მეტად საინტერესო დამთხვევებს მიღმა უფრო ღრმად გადავიხედოთ საქართველოსა და რუსეთის წარსულში.

## ქვეყნის მდგომარეობა. ნომინალური მეფობა

**XI საუკუნის მეორე ნახევარში** საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი მიზეზიც თურქული მოდგმის ტომების – სელჩუკების გამოჩენა იყო. სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. სელჩუკთა შემოსევები დიდ ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი იყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები XI საუკუნის 80-იან წლებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს: „... არა იყო მათ ჟამთა შინა თესვაი და მკაი, მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა – ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრეს მას შინა, და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა...“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 303).

ასეთი უბედურება საქართველოს არასოდეს ენახა. სელჩუკები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად დიდი მოძალეებისა, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა კისერზე – გიორგი II (1072-1089 წწ.) სულთანის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს იხდიდა, თანაც მეფე სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. მშვიდობიანობა მაინც არ ჩანდა – მომთაბარე თურქების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად მატულობდა.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი ჩანს მეფის თანამმართველი. დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილ 1085 წლის მინაწერში იგი უკვე მეფედ და სევასტოსად იხსენიება: „დაესრულა საწელიწადოჲ საწინასწარმეტყველოჲ წესსა, ზედა ბერძულსა, ახალთარგმნილი წ~სა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წ~ა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის, სალოცველად ღვთივ-გვრგვნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძითა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 232).



თურქ-სელჩუკების შემოსევა

# 600 წელი

## და პეტრე პირველი

ბუნებრივია, ქვეყანას განაგებდა მეფეთა-მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად სამეფოს მართვის ნომინალური უფლებები მის მცირეწლოვან შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული – გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი – შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი.



გიორგი II.

* * *

**რა მდგომარეობაა XVII საუკუნის რუსეთში?** რუსეთი უცხოელ ინტერვენტთა თავდასხმის ობიექტადაა ქცეული. მას არ გააჩნია არც მოსახერხებელი საზღვაო ნავსადგურები, არც განვითარებული მრეწველობა, არც გაწვრთნილი არმია და ფლოტი. რუსეთის სახელმწიფო ძალზე ნელა ვითარდებოდა. 60-70-იან წლებში რუსეთს აშკარა საფრთხე შეექმნა თურქეთის მხრიდან. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც მარჯვენა ნაპირის უკრაინის გეტმანი დოროშენკო თურქეთის მხარეზე გადავიდა, პრეტენზია განაცხადა მთელს უკრაინაზე. ერთი სიტყვით, რუსეთს სჭირდებოდა ქმედითი ღონისძიებების გატარება თურქეთის წინააღმდეგ, საერთოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება...

... 1672 წლის 30 მაისს კრემლის ტაძართა ზარებმა მოსახლეობას უფლისწულის დაბადება აუწყა. ეს უფლისწული პეტრე გახლდათ, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შვილი. პეტრე 42 წლის ალექსი მიხეილის ძეს შეეძინა 21 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინასთან ქორწინების შემდეგ. ვაჟის შეძენა სასიხარულო იყო მეფისათვის იმიტომაც, რომ მის პირველ ცოლთან მარია ილიას ასულ მილოსლავსკაიასთან შეძენილი ხუთი ვაჟიდან – სამი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, თევდორე და ივანე კი ავადმყოფები იყვნენ. პეტრეს დაბადება ზარ-ზეიმით აღინიშნა. ოთხი წლისაც არ იყო იგი, რომ ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა და მისი ადგილი 1676 წელს თევდორემ დაიკავა. უფრო სწორად, იგი ბოიარებმა ხელით გამოიტანეს და მეფედ გამოაცხადეს. 1682 წელს თევდორე ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავლობა არ დაუტოვებია. ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ივანე, ან პეტრე. ერთსაც და მეორესაც თავიანთი მომხრეები ჰყავდათ. ივანეს მხარს უჭერდნენ ალექსი მიხეილის ძის პირველი ცოლის ნათესავები, რომელთაც სათავეში ედგა ბოიარი ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკი. ამ დაჯგუფებაში დიდ როლს თამაშობდა მეფის ასული სოფიო – ენერგიული და უფლებამოყვარე ქალი, რომელიც თვითონ ოცნებობდა სამეფო გვირგვინზე.



ალექსეი მიხეილის ძე რომანოვი



ნატალია ნარიშკინა

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, როგორც უფროსს, ივანეს ეკუთვნოდა ტახტი, პატრიარქის წინადადებით მეფედ პეტრე გამოაცხადეს და რეგენტად დედამისი ნატალია ნარიშკინა დაუნიშნეს. ეს უკანასკნელი, როგორც მისი თანამედროვე თავადი ბორის ივანეს ძე კურაკინი გადმოგვცემს, იყო **«Доброго темпераменту, доброжелательного, токомо не была ни прилежная и не искусная в делах и ума легкого»**.

სასახლის კარზე საქმის ვითარება იმგვარად წავიდა, რომ სტრელეცთა მოთხოვნით სახელმწიფოს მართვა ორივე ძმას – პეტრეს და ივანეს დაეკისრათ, მათივე დაჟინებით ძმების მცირეწლოვნების პერიოდში სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებელი მეფის ასული სოფიო გახდა. ამდენად 1682 წლიდან 7 წლის მანძილზე პეტრე მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა რუსეთის მეფედ.

### გამეფება

**XI საუკუნის** 70-80-იან წლებში ძლიერდება მეფის მოწინააღმდეგე ძალები – ადგილი აქვს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ დიდგვაროვან ფეოდალთა გამოსვლებს. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად დაქვეითების გზას ადგა. ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი – მთელი წლის განმავლობაში დიდ მიწისძვრებს ჰქონდა ადგილი და მრავალი ადამიანიც უმსხვერპლია. ყოველივე ამან საქართველოს მოსახლეობაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს **(„ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდნენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა“),** (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 305).

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II 1089 წელს გადაყენებულ იქნა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დაიკავა დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა. **„ბნელსა უკუნსა შინა,** – გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი, – **იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თჳთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“** (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 307).

მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად თექვსმეტი წლის დავითს, სელჩუკებისაგან აკლებული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები: „მოოხრებული იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“.

ქვეყნის მოსაღონიერებლად გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო.

* * *

**როგორ** მიდიოდა პეტრეს ცხოვრება 7 წლის მანძილზე – მისი ნომინალური მმართველობის დროს? იგი დედასთან – დედოფალ ნატალიასთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვის მახლობლად სოფლებში – ვორობიოვოში, კოლომენსკოესა და პრეობრაჟენსკოეში. სასახლის კარზე პეტრეს, ისე როგორც მის ძმას ივანეს, მხოლოდ დეკორატიული როლი ჰქონდათ განკუთვნილი: ესწრებოდნენ სხვადასხვა ზეიმებს, ელჩების მიღებას, მონაწილეობდნენ საეკლესიო ცერემონიალებში. ძმებისათვის ორადგილიანი სამეფო ტახტი დაამზადეს. ქვეყანას ფაქტობრივად სოფიო განაგებდა.



პეტრე პირველი, მეფე და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, და სხვათა და სხვათა და სხვათა...

პეტრეს 17 წელიც არ შესრულებოდა, რომ დედამისმა მისი დაქორწინება გადაწყვიტა. ნატალია ნარიშკინას ვარაუდით ქორწინების შემდგომ სრულწლოვან და სრულფასოვან მეფეს მისი დის მეურვეობა აღარ დასჭირდებოდა და პრეობრაჟენსკოედან კრემლის პალატებში გადასახლდებოდა.

დედამ თვითონ შეურჩია შვილს საცოლე ევდოკია ლოპუხინა, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით მეტად ლამაზი ყოფილა (**«лицом изрядная, токомо ума посреднего и нравом несходного своему супругу»**).

ურთიერთობა პრეობრაჟენსკოეში მყოფ პეტრესა და კრემლს დაპატრონებულ სოფიოს შორის თანდათან მწვავდებოდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ოფიციალურ აქტებში დაიწყეს სოფიოს მოხსენიება (**«Благоверной царевны и великой княжны Софьи Алексеевны»**), სოფიო აშკარად ამზადებდა სასახლის გადატრიალებას იმ მიზნით, რომ პეტრესათვის მეფობის უფლებები აეყარა. 1689 წლის 7 აგვისტოს ღამით პეტრე იძულებული გახდა, დაეტოვებინა პრეობრაჟენსკოე და სერგი სამების მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. პეტრეს გაქცევამ განგაში გამოიწვია მოსკოვში. სოფიო ამაოდ შეეცადა შერიგებას ძმასთან. ვერც პატრიარქის დამოციქულებამ მოაგვარა საქმე, რადგან ეს უკანასკნელი პეტრეს დიდ პატივს სცემდა და მასთან დარჩა. სოფიოს მომხრეები გაიფანტნენ, პეტრეს ირგვლივ კი თავი მოიყარეს მისმა ერთგულმა ჯარებმა. პეტრე და მისი მომხრეები მდგომარეობის ბატონ-პატრონები შეიქმნენ. მეფე მოსკოვისკენ გამოემართა. მას მიწაზე განრთხმული ეგებებოდნენ ერთ დროს სოფიოს მომხრე სტრელეცები და შეწყალებას სთხოვდნენ. პეტრემ ადრიანად გამოუგზავნა წერილი ივანეს, სოფიოს ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ: **«Срамно, государь, при нашем совершенном возрасте тому зазорному лицу государством владеть мимо нас»**.

ამრიგად, პეტრე 1689 წელს 17 წლის ასაკში ქვეყნის ფაქტობრივი ერთმმართველი გახდა.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

**დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ფორმალურად აღდგენის შემდეგ, დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ რეალური სუვერენიტეტი გაქვს მაშინ, როდესაც ამ სუვერენიტეტს მუდმივად იცავ. დიახ, სუვერენიტეტი, მით უმეტეს გლობალიზაციის პირობებში, ჰგავს სახლის მცენარეს, რომელსაც მუდმივად სჭირდება წყლის დასხმა, რომ არ ჩამოხმეს...**

# სუვერენიტეტის დაცვის ურთულესი გზა



**გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, საქართველოში დაიწყო სახელმწიფო სუვერენიტეტის აღქმის, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ეროზია. საქართველოს მმართველმა ელიტებმა დაიწყეს სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოს უნარის – განსაზღვროს და დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები-დაქვემდებარება გლობალისტური ინტერესებისადმი. დისკურსმა, რომ ქვეყნის სუვერენული ინტერესები უნდა დაექვემდებაროს გლობალისტურ ინტერესებს, ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის სახე შეიძინა ჯერ შევარდნაძის, უფრო მაღალი ხარისხით სააკაშვილის და ასევე „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ წლებში, როდესაც მის ხელისუფლებაში მსუყედ იყვნენ წარმოდგენილი გლობალისტური ძალების ადგილობრივი აგენტები. ისინი დღესაც მათ სამსახურში არიან.**

პრინსტონის უნივერსიტეტის ცნობილი მკვლევარი **სტივენ კრასნერი** თავის წიგნში – **„სუვერენიტეტი:** ორგანიზებული ფარისევლობა“ წერს, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მზარდმა როლმა და გლობალიზაციამ სუვერენული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის ეჭვქვეშ დააყენა. მისი აზრით, ორგანიზებული ფარისევლობაა – დადგენილი სუვერენული ნორმების ხშირი დარღვევა, ასევე გლობალისტური ძალების მიერ სახელმწიფოებრიობისა და საზღვრების ნიველირება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ატრიბუტის. თავის დროზე წარმატებულმა ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ ბევრისთვის სუვერენიტეტის იდეა, ლამის, უტოპიური გახდა. თუმცა, მსოფლიოში არსებობენ ჯგუფები, რომლებიც სუვერენიტეტს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დედაბოძად მიიჩნევენ და სუვერენიტეტის გამოცხადებას ორგანიზებულ ფარისევლობად, სახიფათო არჩევანს უწოდებენ. ბოლო წლებში სულ უფრო აშკარაა ძლიერი სახელმწიფოების მიერ სუსტი სახელმწიფოების სუვერენიტეტის ხელყოფა სხვადასხვა ფორმებით. საქართველომ ეს საკმაოდ მწვავედ იწვნია, თან – რამდენჯერმე. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოლიტიკის ტრანსფორმაცია „სუვერენული დემოკრატიის“ მიმართულებით, ამ გარემოებამაც გამოიწვია, თუმცა ამას სხვა ფაქტორებიც უწყობდა ხელს.

ბოლო 30 წლის მანძილზე, ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მიმდინარეობდა ქვეყნის სუვერენული პოლიტიკის მიზანმიმართული დათრგუნვა და ჩანაცვლება გარედან თავსმოხვეული ვითომდა „სწორი პოლიტიკით“. ამის შედეგები განსაკუთრებით დაეტყო ეკონომიკას, განათლების სფეროს, საგარეო პოლიტიკას და, ზოგადად, სახელმწიფოს მმართველობას. ქვეყანაში ჩამოყალიბდა გლობალისტების გავლენიანი და გარედან აქტიურად მხარდაჭერილი კასტა, რომლებიც სრულიად შეგნებულად მზად არიან, ქვეყნის ეროვნულ ინტერესები და სუვერენიტეტი გლობალისტური ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანონ. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად დაწყებულმა ომმა ადგილობრივი გლობალისტური ძალების უპრეცედენტო ლუსტრაცია მოახდინა, როდესაც ისინი, გარე ძალებთან უნისონში, სუვერენული ინტერესების სრული იგნორირებით, დაჟინებით ითხოვდნენ საქართველოს ჩაბმას საომარ მოქმედებებში და სხვადასხვა გზებით რუსეთთან კონფრონტაციას.

**საქართველოს სუვერენიტეტზე წნეხი ჯერ კიდევ 2020 წლიდან დაიწყო, როდესაც დასავლეთში ჩვენი არჩევნების შედეგი არ მოეწონათ. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც შარლ მიშელის შუამავლობით შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა ქვეყნის კონსტიტუციასთან და ოპოზიციას ეხმარებოდა.**

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ ჩვენს სუვერენიტეტს სერიოზული გამოცდა მოუწყო და ბედის მწარე ირონიით გამომცდელები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები აღმოჩნდნენ. ევროკავშირის წევრობაზე მოლაპარაკებების გახსნაზე რეკომენდაციებში მოთხოვნილი მოსამართლეების ე.წ. „ვეტინგი“ პირდაპირ ართმევდა საქართველოს საკუთარი მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნის სუვერენულ უფლებას და მას საერთაშორისო ექსპერტებს გადასცემდა. მიზანი – გარე ძალების სამსახურში მყოფი მოსამართლეების კორპუსის ჩამოყალიბება, სასამართლოს როგორც ხელისუფლების შტოს დესუვერენიზაცია, გამომდინარე შედეგებით.

**საქართველოში მოქმედი დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების, ევროსტრუქტურების, ასევე აშშ-ს ყოფილი ადმინისტრაციის ქმედებები, ფაქტობრივად, ქვეყნის სუვერენულ საქმეებში ჩარევაა.**

ასეთ პირობებში მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ ორი არჩევანი აქვს: **გარკვეული დანაკარგების ფასად, მაგრამ დაიცვას ქვეყნის სუვერენიტეტი, ან გახდეს ამ სუვერენიტეტის გეგმაზომიერი დემონტაჟის თანამონაწილე. ხელისუფლებამ, მისი ქმედებებიდან გამომდინარე, არჩევანი პირველის სასარგებლოდ გააკეთა. ის ჯერჯერობით ინარჩუნებს ქვეყანაში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას – სუვერენიტეტის დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.**

**სტაბილურობის შენარჩუნება ნიშნავს, რომ ხელისუფლებას აქვს ხალხის მანდატი და ლეგიტიმაციაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა პოლიტიკურ ქაოსში ჩაიძირებოდა, გამომდინარე შედეგებით.**

სოცქსელებიდან და გამოკითხვებიდანაც ჩანს, რომ საქართველოში მართალია ნელა, მაგრამ მაინც იზრდება იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებისთვისაც რეალური სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა უკვე ეგზისტენციალურ მნიშვნელობას იძენს, ხოლო სუვერენიტეტის დამცავი ხელისუფლების პოლიტიკა ღებულობს მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას. სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ მხარდაჭერითაც არის ნაკარნახევი ხელისუფლების ბოლოდროინდელი პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებსაც ის ვერ გადადგამდა მყიფე მხარდაჭერის პირობებში.

დემოკრატიის საგანი უმრავლესობის ნების გამოვლენაა და არა პასიონარული უმცირესობის ჭკუაზე ქვეყნის ტარება. ევროპაში ხშირად უმრავლესობის მინიმალურ უპირატესობას გადაუწყვეტია ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები და რატომ უნდა იყოს ამ კუთხით საქართველოში სიტუაცია უკუღმა, როგორც ეს ევრობიუროკრატიას სურს, რადგანაც მას უმცირესობა უფრო ეპიტნავება პოლიტიკურად?! თავად ევროკავშირის წევრ რუმინეთის ბოლოდროინდელი მოვლენები კარგი ინდიკატორია იმისა თუ როგორ ებრძვიან სუვერენიტეტის განმტკიცების მომხრეებს.

**დღევანდელ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში საქართველოსთვის მისი რეალური სუვერენიტეტის დაცვა ურთულესი ამოცანაა. ჩვენს სუვერენიტეტს ემუქრება ერთი მხრივ, ოკუპანტი რუსეთი, მეორე მხრივ კი ისინი, ვინც ცოტა ხნის წინ მეგობრებად და მოკავშირეებად მიგვაჩნდა. ასეთი მოწყვლადობის პირობებში სუვერენიტეტის დაცვა გაუჭირდებოდა ნებისმიერ ხელისუფლებას.**

**ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტზე გეომეტრიული პროგრესიით მზარდი გარეშე ზეწოლა, თავის მხრივ, არის ქვეყნის და მისი მოსახლეობის ნების და მდგრადობის შემოწმება და გამოცდა სუვერენიტეტისადმი ერთგულებაზე. აღმოჩნდა, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე ჩვენ სუვერენიტეტის ყალბი განცდით ვცხოვრობდით და მხოლოდ სუვერენული ატრიბუტები გვეგონა სუვერენიტეტი.**

სუვერენიტეტის წინაშე წარმოქმნილმა ახალმა გამოწვევებმა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ლიდერების ქცევის ახალი სტანდარტები დაბადეს. მათი ამორალურად პრაგმატული, ფსევდორაფინირებული და ფსევდოდასავლური ნაწილი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან დათმობას დასაშვებად მიიჩნევს, ოღონდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. ამ კუთხით, ისინი ფასეულ რესურსს წარმოადგენენ გარე ძალებისათვის და ამაში, ლამის, ყოველდღიურად ვრწმუნდებით.

**ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საქართველოს საშინაო სუვერენიტეტი – საგარეო სუვერენიტეტის ერთ-ერთი საყრდენი, გარკვეულწილად, გააჯანსაღა და მისი სტაბილურობის შენარჩუნების მიმართულებებიც დაგვანახა.**

**თუმცა, ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებს თუ არა საქართველო მისი მწირი რესურსებიდან გამომდინარე, საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას ამ სიტყვის პირდაპირი და საუკეთესო გაგებით – გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი ხარისხი და სერიოზული რისკები, ამ კითხვას ღიად ტოვებს.**



**ზაალ ანჯაფარიძე**

## კვირის ციტატა



# ჩვენი იარაღი სიმართლეა!



**„გუშინდელი „ნაცური“ აღტყინების მთავარი საფუძველი ტრამპის მიერ აიდაჰოს შტატის არჩევნებში რესპუბლიკელი ჯიმ რიშის მხარდამჭერი განცხადება გახდა. ბუნებრივია, ტრამპი დემოკრატს არ დაუჭერდა მხარს. თუმცა ობიექტურობისთვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სენატორი რიში სულ გამოირჩეოდა „დიფ სთეითის“ აგენტურის განსაკუთრებული მხარდაჭერით და თავად – „დიფ სთეითის“ ე. წ. ნარატივის გახმოვანებით.**

**შესაბამისად, სამომავლო დაშვება მხოლოდ ორი შეიძლება იყოს: ან ჯიმ რიში მკაფიოდ გაემიჯნება თავისივე პოლიტიკურ წარსულს (სხვათა შორის, ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ ნამდვილად იკავებს თავს ჩვენზე თავდასხმებისგან), ან გამყარდება სამწუხარო ეჭვი, რომ „დიფ სთეითი“ კვლავ ინარჩუნებს თავის პოზიციებს. საქართველოს და ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი იარაღი სიმართლეა, რომელზეც ყოველთვის საქმის კურსში უნდა ვიყოთ.**

**მამუკა მდინარაძე**

საქართველოს რესპუბლიკა

# ღვაწლმოსილი მეცნიერი შალვა ჭანიშვილი -125



**ცნობილი** მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდა სპეციალისტთა და მეცნიერთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **შალვა თომას ძე ჭანიშვილი** დაიბადა ქ. ქუთაისში 1900 წლის 20 მარტს.

1923 წელს დაამთავრა მილანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1923-1926 წლებში მუშაობდა აგრონომად საფრანგეთში, 1926-1942 წლებში საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობებზე იყო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა. 1942-1952 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, 1952-58 წლებში მუშაობდა საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1958 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის პროფესორია.

აკადემიკოსმა შალვა ჭანიშვილმა შეისწავლა საქართველოს მინდვრის კულტურების აგროტექნიკის საკითხები, დაამუშავა სანაწვერალო კულტურების თესვა-მოყვანის მეცნიერული საფუძვლები, გამოიკვლია თესლბრუნვის და ნიადაგის დამუშავების საკითხები.

პროფესორმა შალვა ჭანიშვილმა დატოვა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა. საკმაოდ დიდია როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე გამოქვეყნებული შრომების ჩამონათვალი – მონოგრაფიების, სახელმძღვანელო წიგნების და სამეცნიერო სტატიების სახით. მათ შორის აღსანიშნავია, ნაშრომები: ბიოლოგიური მეცნიერების როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში; ზოგადი მიწათმოქმედება ნიადაგთმცოდნეობით; სიმინდის თესვა-მოყვანის აგროკომპლექსი; ორგანული სასუქები და მათი გამოყენება მოსავლიანობის გადიდებისათვის და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „საცდელი საქმის მეთოდიკის საფუძვლები“, რომელიც გამოცემულია 1963, 1973 წლებში. წიგნში განხილულია მინდვრის ცდების ჩატარების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები, რიცხობრივი მასალის დამუშავების მეთოდები.

დამხმარე სახელმძღვანელოს ფორმატით გამოცემულია ასევე შ. ჭანიშვილის წიგნი შ. მთვარელიშვილის თანაავტორობით სახელწოდებით „საცდელი საქმის მეთოდიკა მემცენარეობაში“. აღნიშნულ სახელმძღვანელო წიგნებს ამ ხნის განმავლობაში არ დაუკარგავს ინტერესი. ის შეტანილია მაგისტრებისა და დოქტორანტების სასწავლო პროგრამაში. ამ ბოლო პერიოდში კონკრეტულად 2017 წელს გამოვიდა სოფლის მეურნეობის დოქტორის ზაირა ტყებუჩავას მიერ აღნიშნული სახელმძღვანელო წიგნის განახლებული ვარიანტი, რომელიც მიეძღვნა ბატონ შალვა თომას ძე ჭანიშვილის ხსოვნას. წიგნის ავტორები არიან შ. ჭანიშვილი, ზ. ტყებუჩავა და პროფესორი გ. ბუცხრიკიძე.

პროფესორი შალვა თომას ძე ჭანიშვილი დაჯილდოებული იყო მთავრობის მრავალი ჯილდოთი, იგი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო იმ ახალგაზრდა თაობების სიყვარულია, რომელსაც თავისი ერთგული და უანგარო შრომით, პიროვნული თვისებებით ჭეშმარიტად იმსახურებდა. ბატონი შალვა გარდაიცვალა 86 წლის ასაკში 1986 წლის 13 აგვისტოს, დაკრძალულია თბილისში. პროფესორ შ. ჭანიშვილს არასოდეს დაივიწყებენ საქართველოს აგრარულ დარგში მოღვაწე მეცნიერები, მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი მეცნიერთა თაობები.

პროფესორმა შალვა ჭანიშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის აგრარული მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების აღზრდაში და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში. მისი კვალი სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# ბოროტებაზე გამარჯვებული ახალი მსოფლიო!





**აი, ახლა კი მართლა შეირყა სამყარო! თუ ხარ მოფიქრალი ადამიანი, თუ ინტერესით ადევნებ თვალს მსოფლიო მოვლენებს, სადაც უპირველეს ყოვლისა შენს სამშობლოსაც მოიაზრებ, არ შეიძლება არ იგრძნო და არ გაგიტაცოს ამერიკაში დატრიალებულმა პოლიტიკურმა ქარიშხალმა. აფორიაქდნენ კონტინენტები, გადაირია აჭრელებული ევროპა.**

**„გაუმარჯოს ფიქრს, რომ ალებრ მნათი, ხავსმოკიდებულს, ბნელს და გორიოს, ააყირავებს ეს წელი ათი,**
**ათიათასი წლის ისტორიას! – შემომძახა გალაკტიონმა, მაგრამ ამჯერად ტრამპმა, ამერიკის ახლად არჩეულმა, ორმოცდამეშვიდე პრეზიდენტმა ააყირავა სამყარო ადამიანებისა და ადამიანურობის სასარგებლოდ!**

**მიუხედავად ამისა, უკვე ზნეობისა და კაცთმოყვარეობის სხვა არეალში გადასული მსოფლიოს საკმაოდ დიდი ნაწილი, ტრამპის ახალ პოლიტიკას მტრულად შეხვდა. ამ ამბავში სასიხარულო მე რა უნდა მქონდეს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მაქვს! და იცით რა?**

ის, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობა, უკვე კარგა ხანია, ადამიანის ღირსების დამცველ და დამამშვენებელ კანონებს იღებს, მტრებიც საკმაოდ გაიჩინა, მაგრამ ჩვენ– ამ მთავრობის ამომრჩეველი საზოგადოება, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ ჩვენს მთავრობას და გვიხარია ის, რომ დიდი და ძლიერი ქვეყნის ხელისუფალი მოვალეობის შესრულების დაწყებისთანავე ხელს აწერს ბაიდენის მთავრობისათვის მიუღებელ, საზოგადოების წესრიგისა და ქვეყანაში მიმდინარე ხარჯების გამჭვირვალობის კანონებს. დიახ, ვიცით უკვე, რაც ხდება ამერიკაში 2025 წლის 20 იანვრიდან, თუმცა სამწუხაროა ის, რომ არ ვიცით რა ხდება ჩვენთან, გადმოსწვდება თუ არა ჩვენს პატარა სამშობლოს, ტრამპის მთავრობის თვალთახედვა და დაგვასწრებენ თუ არა, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის მათთვის გათვითცნობიერებაში, რადიკალები. კარგად ვიცით, რაც და როგორიც იქნება ეს „გათვითცნობიერება“. ძვირფასო მკითხველო, ისინი ხომ გარეშე მტრებზე ორჯერ უფრო საშიში არიან! წარმოგიდგენიათ, რას სჩადიან? ხალხის არჩეული მთავრობის ნაცვლად, ვადაგასული პრეზიდენტი – სალომე წინამძღოლად დაიყენეს, და „გაყალბებული არჩევნების“ დევიზით, ერთად ცდილობენ ევროკავშირის ქვეყნები მტრებად მოგვივლინონ. ძნელია, მაგრამ მთავრობა მშვიდობიანი გზით უმკლავდება შინაურ და გარეშე მტერს, რაც ქართველ ხალხს ძვირად უჯდება, ხელისუფლების ენერგიის დიდი ნაწილი მათ დაშოშმინებას ხმარდება... ნეტავ, ოდესმე თუ დადგება ის დრო, როცა მთავრობა და ოპოზიცია ერთად დასხდებიან პარლამენტში და იზრუნებენ ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის?

30 წელზე მეტი გავიდა ... რა გზა გაიარა ქართველმა ხალხმა, რა ჭირ-ვარამი... და ვის მოჰქონდა ეს ჭირი? რა თქმა უნდა, ისევ შინაურებს. მიჭირს, მათ ქართველები დავუძახო, მიჭირს უკან მიხედვა. არ გასკდეს გული! ნეტავ შევიცნობთ კი ოდესმე, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოა, ჩვენი დიდი ოჯახი, ჩვენი საპატრონო, ჩვენი მოსავლელი? ვერ გავიგეთ, ვერ შევიგნეთ. გვიჭირს ავის და კარგის გარჩევა... ზოგი გვიმტკიცებს, ქვეყანა თავზე ჩამოგვექცაო, ზოგი – პირიქით. ზოგი ნამდვილი დამნაშავე, მსოფლიოს გასაგონად, გაიძახის–არა ვარ დამნაშავეო და უკვე საპატიმროში განწესებული , თავისი უდანაშაულობის დასარწმუნებლად, შიმშილობას იწყებს. არადა, ტელევიზიის დახმარებით ყველაფერი გაშუქებულია , ყველამ ყველაფერი ვიცით . ისიც კარგად დავინახეთ, როგორ გაარტყა ერთმა მათგანმა პოლიციელს სახეში კარგი მაგარი სილა. თუმცა, რად გვინდა, იქვე ჩნდება რომელიმე „უძვირფასესი ჟურნალისტი“, რა თქმა უნდა, რადიკალ ოპოზიციონერთა თანხლებით და მოშიმშილეებს არა მხოლოდ უდანაშაულოდ, პოლიტიკურ პატიმრებად და გმირებად აღიარებენ. ამის შედეგად იწყება ევროკავშირის ზოგიერთ წარმომადგენელთა (არამკითხე მოამბეთა!) რეზოლუციები და სანქციები მთავრობის წევრთა და მათი მომხრეების საწინააღმდეგოდ . რა ვქნათ ახლა? როგორ დავიცვათ ქართველებმა თავი, როდესაც უგუნური მტერი შიგნიდან გვღრღნის...

უხარიათ ოპოზიციონერებს... აქ კი მართლაც გაკვირვებული ვარ, როგორ შეიძლება ქვეყნისთვის სასარგებლო მოქალაქის – თუნდაც პოლიტიკოსის დასანქცირება , ისიც სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან, გიხაროდეს. შენი ქვეყნის აღმაშენებლის, დამპურებლის (შეიძლება ასე ითქვას!) – ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება არამც თუ გიხაროდეს, არამედ მოითხოვდე, რაც შეიძლება მეტად დააზარალონ იგი?!

რა ვქნათ, სასწაულების მომსწრე ვართ, ვითმინოთ? მაგრა სანამ! ახლა ბევრი ჩვენგანის ფიქრები ამერიკისკენ არის. წაადგება კი საქართველოს ამერიკის ახალი მთავრობა, მოიცლის კი იგი საქართველოსთვის? ტრამპმა თავისი პოლიტიკური ნაბიჯებით, შინ და გარედანაც მრავალი მტერი გაიჩინა. მარტო ლგბტ-ს ლაშქარი ეყოფა. იქით კიდევ არასამთავრობო ორგანიზაციები, ამერიკელი ხალხის ნაშრომს, რომ ხარჯავდნენ უგზოუკვლოდ... ვითომ ზემოხუცებულთათვის, ასოცი და მეტი ხნის ადამიანებისათვის (სად ნახულობდნენ ნეტავ!), ამერიკაში ასე ხდებოდა და ახლა ვინ იცის, რა ხდებოდა ჩვენთან! ვიცით ის მხოლოდ, რომ საქართველოში სოკოებივით მომრავლებულმა „ენჯეოებმა“ საკუთარი სახელმწიფო შექმნეს და საიდანღაც მოპოვებულ მილიონებს, როგორც აწყობდათ ისე ხარჯავდნენ. დღესაც გრძელდება მათი „მოღვაწეობა.“ სამწუხაროა, მაგრამ ასეა... თუმცა, ყველასთვის რომ არ არის სამწუხარო, ეს კიდევ უფრო სამწუხაროა! ქვეყნის შიგნით ხომ ვხედავთ, რაც ხდება, გარედან მაინც გვყავდეს ძლიერი მოკავშირე. დიდი მადლობა მათ (განსაკუთრებით, უნგრეთის ხელისუფალთ!), ვინც თანაგვიგრძნობს, ვინც ჩვენთან არის. ახლა, ახალი იმედი გაჩნდა ამერიკის სახით. ეს დიდებული რამ არის, მაგრამ დრო არ ითმენს , მავნებელი ოპოზიცია ახლგაზრდების მოწამვლას შეუდგა, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, არცთუ რთული აღმოჩნდა მათთვის!.. ჩვენ კი განცვიფრებულები ვართ, ნუთუ ესენი არიან ჩვენი გამოზრდილები? მაგრამ, არანაკლებ გვაშფოთებს პრეზიდენტობანას თამაშით გართული სალომე და მისი რაზმი.

**ხალხნო, გამოფხიზლდით, ეს ხომ (სალომე!) საქართველოს შეცდომა და დიდი სირცხვილია, თუმცა უნდა დავიტოვოთ იმედი – ტრამპის მოსვლით ბოროტებაზე გამარჯვებული ახალი მსოფლიო იბადება!**



**გულნარა სტურუა**

## კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ

**2024 წელს თითქმის გასამმაგებულია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქალების დასაქმება კაცებისთვის სამუშაო ადგილების წართმევის ტოლფასია. უახლესი კვლევები გენდერული თანასწორობის შესახებ, რომლებიც ქალთა უფლებების მიმართ მოსახლეობის განწყობებს ასახავს, აჩვენებს, რომ ხალხის დიდი ნაწილი მხარს უჭერს თანასწორობას, თუმცა გარკვეულ საკითხებზე დამოკიდებულებები უარესობისკენაა შეცვლილი.**

**აი, მაგალითად, თუკი 2019 წელს გამოკითხულთა 10,3% თვლიდა, რომ ქალების მიერ უფლებების მოპოვება კაცებისთვის უფლებების წართმევას ნიშნავდა, 2024 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა. ამ სტატიაში თავმოყრილია გაეროს სააგენტოების – გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ორი უახლესი კვლევის ძირითადი მონაცემები.**



# „ცხოვრებას“ ადამიანობა სჯობს!

**მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ 2024 წელს თითქმის გასამმაგებულია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქალების დასაქმება კაცებისთვის სამუშაო ადგილების წართმევის ტოლფასია. 2019 წელს ეს მაჩვენებელი 7,5% იყო, ბოლო გამოკვლევის მიხედვით კი 20,7%-ია.**

**გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა (83%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ანაზღაურებადი სამუშაო საუკეთესო საშუალებაა ქალისთვის, იყოს დამოუკიდებელი, თუმცა თითქმის ყოველ მეორეს (48%) მიაჩნია, რომ სამუშაო ადგილების სიმწირის შემთხვევაში, აჯობებს, კაცებმა იმუშაონ.**

მოსახლეობის უმრავლესობას (75%) სჯერა, რომ არსებობს პროფესიები, რომელთა შესრულებაც ქალებს არ შეუძლიათ. ასევე, ყოველი მეორე ადამიანი (54%) ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში [დამლაგებელი, მიმტანი, გამყიდველი] სამუშაო ქალებს უფრო მეტად შეეფერებათ.

გამოკითხულთა უმეტესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალები ნაკლებს უნდა მუშაობდნენ და ოჯახზე ზრუნვას მეტ დროს უთმობდნენ. თვლიან, რომ, როცა დედა მუშაობს, ბავშვები ამას მძიმედ განიცდიან (69%). მამების შემთხვევაში, ასე მოსახლეობის მხოლოდ 16% ფიქრობს.

ახლა უფრო ნაკლები კაცი თვლის, რომ ოჯახის მემკვიდრეობა ქალებს უნდა დარჩეთ. შეიცვალა ხალხის დამოკიდებულება მემკვიდრეობის განაწილების მიმართაც. თუკი 2019 წელს უფრო მეტი კაცი უჭერდა მხარს თანაბარ მემკვიდრეობას შვილებისთვის, 2024 წელს კაცები უკვე ნაკლებად ემხრობიან მშობლების სახლის, მიწის, საოჯახო ბიზნესისა და სხვა ქონების და-ძმაზე თანაბრად განაწილებას. თუმცა გაიზარდა ქალების მხრიდან თანასწორი მემკვიდრეობის მხარდაჭერა, რაც მკვლევრების აზრით, მიუთითებს ქალების მზარდ ცნობიერებაზე საკუთრების უფლებების მიმართ.

## „ქალის საქმე ოჯახზე ზრუნვაა“

**2024 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად, ოჯახური ვალდებულებები კვლავ „ქალის საქმედ“აღიქმება. ამ მხრივ საინტერესოა ბოლო წლებში ჩატარებული სამი კვლევის ერთმანეთთან შედარება.**

თუკი 2013 წელს რესპონდენტთა 88,5% თვლიდა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვა იყო, 2019 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა, განახევრდა. თუმცა 2024 წელს მაჩვენებელმა ისევ მოიმატა და 57,5%-ს მიაღწია იმ ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვას მიიჩნევენ. უფრო მეტად პატრიარქალური გახდა ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების ტენდენციაც. 2019 წელს გამოკითხულთა 49,6% თვლიდა, რომ ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს. 2024 წელს ასე გამოკითხულთა 57,2% თვლის. გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ უფრო მეტად დედის პასუხისმგებლობაა ბავშვზე ზრუნვაც. 56% ეთანხმება აზრს, რომ თუკი ბავშვი ავად გახდება, მის მოსავლელად სამსახურიდან დასვენების დღე დედამ უნდა აიღოს და არა მამამ.

## პოლიტიკა, ბიზნესი — ვინ არის უკეთესი ლიდერი, ქალი თუ კაცი?

**გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. 2019 წელს ასე 48,5% თვლიდა, 2024 წელს ამ მაჩვენებელმა 58%-ს მიაღწია.**

თუმცა, გამოკვლევის თანახმადვე, მოსახლეობის უმრავლესობას (63%) სჯერა, რომ პოლიტიკაში ქალების ჩართულობის გაზრდა ქვეყანას სარგებელს მოუტანს, ხოლო 65% მიიჩნევს, რომ რაც მეტი ქალი იქნება საქართველოს პარლამენტში, მით მეტი გავლენა ექნებათ მათ პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და საჯარო პოლიტიკაზე. საქართველოში ყოველი მეორე ადამიანი (52%) ფიქრობს, რომ მეტი ქალი პოლიტიკაში უკეთესობისკენ შეცვლის ქვეყანას. გაიზარდა პოლიტიკაში გენდერული კვოტების მხარდაჭერაც. 2019 წელს კაცების 44,4% უჭერდა მხარს გენდერულ კვოტებს, 2024 წელს კი – 54,1%.

პოლიტიკაში ქალების ჩართვისთვის ყველაზე დიდ წინაღობად ოჯახური ვალდებულებები და ქალისა და კაცის როლებზე საზოგადოებაში არსებული შეხედულებები აღიქმება.

ბოლო კვლევების თანახმად, გაზრდილია იმ კაცების რიცხვიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ბიზნესში კაცები უკეთესი ლიდერები არიან. თუმცა გაიზარდა ქალების თავდაჯერებულობაც – თუკი 2019 წელს გამოკითხულთა 56,2% თვლიდა, რომ ქალი და კაცი თანაბრად კარგი ლიდერები შეიძლება იყვნენ, 2024 წელს ეს მაჩვენებელი 62,2% გახდა.

**„2013 წლიდან ჩვენი კვლევა უკვე მესამედ ტარდება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, თორმეტწლიანი პერსპექტივით შევაფასოთ საქართველოს მოსახლეობის განწყობები გენდერული თანასწორობის საკვანძო საკითხების მიმართ. იმის მიუხედავად, რომ გენდერულ როლებზე მსჯელობა კვლავ გრძელდება, ერთი რამ სამივე კვლევის შედეგებით იკვეთება: გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა საქართველოში ჯერაც არაა მიღწეული... ხოლო 60%-ზე მეტი თვლის, რომ ქალთა მეტი პოლიტიკური მონაწილეობა ქვეყნისთვის სასიკეთო იქნებოდა. ასეთი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეები თავისი ქვეყნის მომავალს თანასწორობის, ჩართულობისა და სოციალური ინკლუზიურობის განმტკიცებას უკავშირებენ“**, – ამბობს **დაგლას უები,** UNDP-ის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში.



## უარი სექსზე, ძალადობა უნდა მოითმინო...

**გენდერული თანასწორობის შესახებ ჩატარებულმა ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ კაცების 22%-ზე მეტი თვლის, რომ ქალმა ოჯახის შესანარჩუნებლად ძალადობა უნდა მოითმინოს. ასე თვლის ქალების 16%-ზე მეტიც. ეს მაჩვენებელი წინა, 2019 წელთან შედარებით გაზრდილია.**

გამოკითხული კაცების თითქმის ნახევარი, 43%-ზე მეტი, ამბობს, რომ ცოლს არ უნდა ჰქონდეს უფლება, უარი უთხრას ქმარს სექსზე. 2019 წელს ასე გაცილებით ნაკლები კაცი (34%) ფიქრობდა. რაც შეეხება ქალებს, გამოკითხული ქალების 24% ამბობს იმავეს.

მოსახლეობის თითქმის 40% კი თვლის, რომ კაცმა აუცილებლად უნდა იცოდეს მეუღლის/პარტნიორის მობილურის და სოციალური ქსელის პაროლები. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული კაცების 21% თვლის, რომ თუ ქალი გააუპატიურეს, მან ისეთი რამ ჩაიდინა, რომ „ამ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი“. 2019 წელს ამას უფრო ნაკლები კაცი (14%) თვლიდა. გაცილებით ნაკლებია იმ ქალების მაჩვენებელი, რომლებიც ამ მოსაზრებას ეთანხმებიან. გამოკითხული კაცების 20% იმასაც თვლის, რომ ზოგ შემთხვევაში, ქალებს უნდათ, რომ გააუპატიურონ. ასე ფიქრობს ქალების 12%-იც.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) ფიქრობს, რომ კაცისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ქონა გამართლებულია, ხოლო ქალების შემთხვევაში იმავეს მხოლოდ 30% პროცენტი ამბობს. მოსახლეობის აღქმით, ხალხის უმეტესობას ამ დამოკიდებულებაზე უფრო კონსერვატიული შეხედულებები აქვს. მხოლოდ 18% მიიჩნევს, რომ მათ ირგვლივ მისაღებია ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი ქალებისთვის, სინამდვილეში კი ამგვარად მოსახლეობის 31% ფიქრობს.

გამოკვლევამ გამოავლინა განსხვავება ადამიანების ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და მოსახლეობის მიერ სოციალური ნორმების აღქმებს შორის, რაც „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“, კვლევისა და მონაცემთა ანალიტიკოსის ნათია მესტვირიშვილის თქმით, იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდუალურ დონეზე, საქართველოს მოსახლეობას გენდერულ თანასწორობაზე უფრო პროგრესული შეხედულებები აქვს იმისგან განსხვავებით, რასაც, მათი აღქმით, მათ გარშემო მცხოვრებთა უმეტესობა ფიქრობს:

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეალური სურათი დავანახოთ ადამიანებს – ზოგჯერ გვგონია, რომ ჩვენ ირგვლივ არსებული სტერეოტიპები უფრო ძლიერია, ვიდრე სინამდვილეში.**

**მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 19% მიიჩნევს, რომ მემკვიდრეობა ბიჭმა უნდა მიიღოს. მაგრამ თითქმის ნახევარი (46%) მემკვიდრეობის ბიჭისთვის დატოვებას მათ გარშემო გავრცელებულ სოციალურ ნორმად აღიქვამს. ანუ, სოციალური ნორმების ჩვენეული აღქმა ხშირად გაცილებით უფრო დისკრიმინაციულია, ვიდრე საზოგადოების რეალური დამოკიდებულება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რეალური სურათი დავანახოთ საზოგადოებას, ვაჩვენოთ, რომ ზოგჯერ რაც გვგონია, რომ ჩვენს გარშემო დამკვიდრებულ სოციალურ ნორმად ითვლება, სულაც არაა უმრავლესობის არჩევანი და თუ ისე მოიქცევი, როგორც თავად მიგაჩნია სწორად და არა ისე, როგორც გგონია რომ საზოგადოება შენგან მოელის, ამის გამო არავინ გაგკიცხავს“**, – ამბობს **ნათია მესტვირიშვილი.**

გამოკვლევებმა ისიც აჩვენა, რომ გაცილებით დიდია გენდერული თანასწორობის მიმართ მხარდაჭერა 18-29 წლის ახალგაზრდებში. მათ შორის, ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, მემკვიდრეობის გოგოს და ბიჭს შორის თანაბრად გაყოფა. მათი უმეტესობა ასევე არ ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საბოლოო სიტყვა ოჯახში კაცს უნდა ეკუთვნოდეს. ახალგაზრდა რესპონდენტები ნაკლებად სტერეოტიპულად უყურებენ ქალის მოვალეობების საკითხს და არ იზიარებენ, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა კარიერა.

**„გაზრდილია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს ეკუთვნის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობა ქალთა როლს სხვაგვარად უყურებს და მეტად უჭერს მხარს გენდერულ თანასწორობას როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში“,** – ამბობს მარიკა ბანძელაძე, UNFPA-ის ხელმძღვანელი საქართველოში.

ეკა სხილაძე, რომელიც წლებია იკვლევს საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხებს, აკვირდება ტენდენციებსა და საზოგადოების განწყობებს, ამბობს, რომ გაეროს სააგენტოების უახლესი გამოკვლევების შედეგები ზედმიწევნით ირეკლავს სახელმწიფოს იმ პოლიტიკას, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება.

**კვლევებმა მოიცვა რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები. რაოდენობრივმა კვლევამ დაფარა საქართველოს 11 რეგიონი, ჩატარდა პირისპირი გამოკითხვის მეთოდით და კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებმა. თვისებრივი კვლევა წარიმართა ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც ჩატარდა საქართველოს შერჩეულ 5 რეგიონში. რაოდენობრივი კვლევის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 2408 პირისპირი ინტერვიუ. მკვლევრების თქმით, შერჩევა რეპრეზენტატულია ქვეყნის დონეზე. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობიდან სრულად გაქრება სიტყვა „გენდერი“.**

**ნინო თარხნიშვილი,**
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი
2009 წლიდან.

საქართველოს რესპუბლიკა

# სისხლის რეგულარულად გაღება დონორში სიმსივნის რისკს ამცირებს!

**ახალი კვლევის მიხედვით, სისხლის რეგულარულად გაღება არა მხოლოდ სხვების სიცოცხლეს ეხმარება, არამედ დონორის ჯანმრთელობაზეც დადებითად აისახება**

**მკვლევართა საერთაშორისო გუნდმა 217 კაცის სისხლის ნიმუშები სხვა 212 კაცისას შეადარა.**

პირველ ჯგუფს სიცოცხლის განმავლობაში სისხლი 100-ზე მეტჯერ ჰქონდა გაღებული, მეორე ნაწილს კი 10-ჯერაც არა. დადგინდა, რომ აქტიურ დონორთა DNMT3A გენში სასარგებლო მუტაციები უფრო ხშირი იყო. ამ გენის სხვა მუტაციები აქამდე სისხლის სიმსივნეს უკავშირდებოდა.

**„ეს კვლევა გასაოცარი მაგალითია იმისა, თუ როგორ ურთიერთქმედებს ერთმანეთთან ჩვენი გენები და გარემო ასაკის მატების პარალელურად“,** – ამბობს ღეროვანი უჯრედების ბიოლოგი **დომინიკ ბონე,** რომელიც ბრიტანეთში მდებარე ფრენსის კრიკის ინსტიტუტში მუშაობს.

მეცნიერებმა სისხლის ღეროვანი უჯრედები შეისწავლეს. ისინი საჭიროების შემთხვევაში უფრო მეტ სისხლს წარმოქმნის, თუმცა ასაკის მატებასთან ერთად ეს მექანიზმი შეიძლება მოიშალოს, რაც ლეიკემიის რისკს ზრდის.

სისხლის დაკარგვა, ამ შემთხვევაში გაცემა, ჰორმონ ერითროპოეტინის გამომუშავებას ააქტიურებს. აღმოჩნდა, რომ DNMT3A მუტაციის მქონე უჯრედები სისხლს უფრო სწრაფად წარმოქმნის. თაგვებზე ჩატარებულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ სისხლის დაკარგვით გამოწვეულმა სტრესმა მისი უფრო ჯანსაღი დონე უზრუნველყო.



**„ქმედებები, რომლებიც სისხლის უჯრედების წარმოქმნის მიმართ მსუბუქ სტრესს იწვევს, ღეროვანი უჯრედების განახლებას უწყობს ხელს. ეს პროცესი მეტად აძლიერებს ისეთ მუტაციებს, რომლებიც ღეროვან უჯრედებს წარმოქმნის და არა დაავადებებს“,** – ხსნის **ბონე.**

სისხლის გაღება ღეროვანი უჯრედების უკეთ „გაწვრთნას“ უწყობს ხელს, რადგან დაკარგული სისხლი ასე მათ მიერ ოპტიმალურად ნაცვლდება. ეს თაგვებზე ჩატარებულმა ცდამაც დაადასტურა, სადაც სისხლის რეგულარულმა დაკარგვამ რეგენერაციის უნარის გაძლიერებას შეუწყო ხელი. საინტერესოა, რომ ამ დროს მავნე მუტაცია არ განვითარებულა.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი გარემოებებიც არსებობს. მაგალითად, დონორები, როგორც წესი, ჯანმრთელები არიან, ამიტომ დამატებითი სარგებლის განსაზღვრა რთულია. შესაძლოა, ეს მათი უკეთესი ფიზიკური მდგომარეობით იყოს განპირობებული.

**„ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ადამიანების მხოლოდ მცირე ჯგუფს მოიცავს, ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, მართლა ამცირებს თუ არა სისხლის გაღება ლეიკემიის რისკს“,** – ამბობს **ბონე. „ამ შედეგების გადამოწმება ადამიანების უფრო დიდ ჯგუფებზე მოგვიწევს“.**

მიუხედავად იმისა, სისხლის გაღებას ჯანმრთელობისთვის დამატებითი სარგებელი მოაქვს თუ არა, დონორების საჭიროება კვლავ ძალიან მაღალია. მაგალითად, მხოლოდ აშშ-ში ყოველ ორ წამში სისხლი ან თრომბოციტები ესაჭიროებათ. ამ მიგნებების დასადასტურებლად დამატებითი კვლევებია საჭირო. მანამდე უკანასკნელი აღმოჩენა წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, როგორ იწყება სისხლის სიმსივნე. ეს ახალი თერაპიული შესაძლებლობებისკენ გვიხსნის გზას.

**„ჩვენ ახლა იმის გარკვევას ვცდილობთ, რა როლს ასრულებს ლეიკემიის განვითარებაში სხვადასხვა ტიპის მუტაციები და შეიძლება თუ არა მკურნალობაში მათი მიზანმიმართულად გამოყენება“,** – ამბობს ბიოლოგი **ჰექტორ უერგა ენკაბო,** რომელიც ასევე ფრენსის კრიკის ინსტიტუტში მუშაობს.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ხათუნა ბერიანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ხათუნა ბერიანიძე (პ/ნ 24001045087), თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #55, ბინა 16

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მცხეთის რაიონი, სოფელი ბურიანი (საკადასტრო კოდი: 72.04.21.170 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12673.39 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 24 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის #71271HZP106773225;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 1067732

6. **მოვალე:** ხათუნა ბერიანიძე (პ/ნ 24001045087), თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #55, ბინა 16;

შპს „შაპიდონ“ (ს/ნ 405410452), თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #55, ბინა 16;

ჯაბა მუჯირი (პ/ნ 01031000570), თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #55, ბინა 16;

სალომე თარხნიშვილი (პ/ნ 01017019481), თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #55, ბინა 16

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის #71271HZP106773225; ლოტის ნომერი: 1067732).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 3 აპრილის 12:00 საათამდე.

## დაკავებულია 18 „ბანდიტი“

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, აჭარის, კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 18 პირი.**

**ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვის, ტარებისა და წესის დარღვევით საქართველოში შემოტანის ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1979 წელს დაბადებული გ.ჭ., 1984 წელს დაბადებული ჭ.ჭ., 1965 წელს დაბადებული მ.ქ., 1995 წელს დაბადებული რ.დ., 1984 წელს დაბადებული ვ.ც., 1982 წელს დაბადებული რ.რ., 1965 წელს დაბადებული თ.ჯ., 1996 წელს დაბადებული თ.პ. და წარსულში ნასამართლევი პირები: 1975 წელს დაბადებული ვ.შ., 1993 წელს დაბადებული ბ.გ., 1986 წელს დაბადებული მ.ა., 1992 წელს დაბადებული რ.დ., 1990 წელს დაბადებული, ი.ი., 1985 წელს დაბადებული კ.ხ., 1984 წელს დაბადებული ბ.კ., 1989 წელს დაბადებული ე.ბ., 2005 წელს დაბადებული ნ.ჩ. და 1979 წელს დაბადებული ზ.გ.**



**დანაშაულები 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა დაკავებული პირების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს, მათ შორის ავტომატები, პისტოლეტები, რევოლვერები, ხელყუმბარები, მჭიდები, დიდი ოდენობით ვაზნები და ხმის ჩამხშობი მაყუჩი.**

**რამდენიმე დაკავებული პირისგან, პოლიციამ, ასევე, ნარკოტიკული საშუალებები „ალფა პვპ“ და „მარიხუანა“ ამოიღო. გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 214-ე, 260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.**

## დიდი ოდენობით ნარკოტიკების გამო წარსულში ნასამართლევი პირები დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შეძენა-შენახვის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი პირები: 1982 წელს დაბადებული ზ.გ. და 1977 წელს დაბადებული ვ.გ. დააკავეს. უწყების ინფორმაციით, დანაშაული 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**„სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე და მეექვსე ნაწილებით“, – წერია ინფორმაციაში.**

## სადახლოში მძიმე ავარია მოხდა

**ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა. დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.**

## ნიუ-მექსიკოს შტატში სროლას 14, 16 და 19 წლის გოგონები ემსხვერპლნენ!




**BBC-ის ინფორმაციით, ქალა, ლას-კრუსეს ერთ-ერთ პარკში, სროლა ღამის საათებში დაიწყო. ადგილობრივმა პოლიციამ ადგილზე 50-ზე მეტი ტყვიის მასრა იპოვა. მედიის ინფორმაციით, თავდამსხმელმა მიმალვა შეძლო და ამ დროისთვის მის იდენტიფიცირებას ცდილობენ. ასევე უცნობია თავდასხმის მოტივი.**

## აშშ-ში ცნობილი რეპერი დაჭრეს, მისი თანმხლები პირი კი მოკლეს

**ტეხასის შტატში ცნობილ რეპერ Sauce Walka დაჭრეს, მისი თანმხლები პირი კი მოკლეს. dailymail-ის ინფორმაციით, ამჟამად რეპერი საავადმყოფოში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მედიის ცნობით, რეპერს მემფისში, Westin-ის სასტუმროსთან, ავტომობილიდან ესროლეს, რის შემდეგაც თავდამსხმელები მიიმალნენ. ვარაუდობენ, რომ თავდასხმის სამიზნე არა რეპერი, არამედ მისი თანმხლები პირი იყო, რომლის ვინაობა ჯერ არ გასაჯაროებულა.**

**ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“** (The Daily Telegraph) 21 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია სარედაქციო სტატია სათაურით **„ნუთუ დონალდ ტრამპმა გარიგების დადების ხელოვნება დაივიწყა? თეთრ სახლს, როგორც ჩანს, კრემლის მიმართ ხისტი პოლიტიკის გატარება არ სურს“**, რომელშიც გადმოცემულია წამყვანი ჟურნალისტებისა და რედაქტორატის თვალსაზრისი სამშვიდობო პროცესის მიმართ.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The Daily Telegraph

Telegraph View
Has Trump forgotten the art of the deal?
The White House seems reluctant to get tough with Putin

Telegraph View
Related Topics
Donald Trump, Vladimir Putin, Volodymyr Zelenskyy, Russia-Ukraine war, Europe
19 March 2025 7:47pm GMT
138



Credit: BRENDAN SMIALOWSKI/AFP

# გაიმარჯვებს ტრამპის გარიგების ხელოვნება?

**დონალდ ტრამპს ხშირად მოიხსენიებენ ისეთ ლიდერად, რომლისთვისაც გარიგება ყველაფერს – მისი ცხოვრების კრედოს წარმოადგენს. მან მართლაც დაწერა წიგნი, სახელწოდებით „გარიგების დადების ხელოვნება“, რომლის მიხედვითაც იგი ახლა საგარეო პოლიტიკაში ცდილობს მოლაპარაკების მეთოდების გადმოტანას. მას პრობლემები ექმნება მაშინ, როცა მეორე მხარის წარმომადგენლები სინამდვილეში გარიგების დადებით დაინტერესებულები არ არიან იმ დროსაც კი, როცა დაინტერესებულ სახეებს იღებენ. რეალური პოლიტიკისა და დიპლომატიის ნიუანსები მოლაპარაკების შავ-თეთრ ფორმატში წარმოების შესაძლებლობას არ იძლევა.**

მისტერ დონალდ ტრამპი თეთრ სახლში დაბრუნებისას და მანამდეც დაბეჯითებით აცხადებდა, რომ უკრაინაში ომის შეჩერება შეუძლია და ამ მხრივ მან მშვიდობის დამყარებაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კაპიტალი დააბანდა. რა თქმა უნდა, ეს ნამდვილად პოზიტიური სურვილია და ქებას იმსახურებს, რომელსაც უკრაინელებიც იზიარებენ – ისინი ულაპარაკოდ დათანხმდნენ ცეცხლის 30-დღიან შეწყვეტას, სამშვიდობო პროცესის დაწყების ხელშეწყობის მიზნით.

მაგრამ ადამიანი, რომლის დარწმუნება აუცილებელია – ვლადიმერ პუტინი – ის არ დათანხმდება გარიგებას, თუ მისი პირობები არ იქნება გათვალისწინებული. ფაქტი სახეზეა: ბოლო სატელეფონო საუბრის დროს კრემლი არ შეუერთდა ცეცხლის სრული შეწყვეტის ინიციატივას, პუტინი დათანხმდა მხოლოდ ენერგეტიკული ობიექტების დაბომბვის შეჩერებას, მაგრამ მისი თანხმობა სწრაფად დაირღვა – დაბომბვები გრძელდება. ვლადიმერ პუტინის უარმა დონალდ ტრამპის გეგმებს დიდი ჩრდილი მიაყენა. ნაკლები იმედია იმისა, რომ საუდის არაბეთში დაგეგმილ მოლაპარაკებაზე მხარეები რაიმე დადებითს მიაღწევენ.

**რას გააკეთებს აშშ-ის პრეზიდენტი თავისი რუსი კოლეგის შეურიგებლობის გადასალახავად, მისი სიმტკიცის გასატეხად?**

**პასუხი ბუნებრივია და გამოიხატება უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გადიდებაში, უფრო ხისტი და მკაცრი სანქციების შემოღებაში და ნავთობის ფასების მნიშვნელოვან გაიაფებაში, რომ რუსეთს თავისი ნავთობის გაყიდვა გაუძნელდეს და შემოსავლები შეუმცირდეს.**

**მაგრამ როგორც ჩანს, თეთრ სახლს არ სურს ვლადიმერ პუტინის მიმართ ხისტი პოლიტიკა გაატაროს: დონალდ ტრამპი ფრთხილობს – ვაითუ რუსმა კოლეგამ საერთოდ ხელი ჩაიქნიოს, მოლაპარაკებაზე საერთოდ უარი თქვას და ამით აშშ-ის პრეზიდენტს სახელი გაუტეხოს – აი, მშვიდობის დამყარებას ტრაბახობდი, გარიგების ოსტატობას ჩემულობდი, სინამდვილეში კი არაფერი გამოგდისო.**

ევროპა ან, უფრო ზუსტად, მისი დიდი ნაწილი, მზად არის, რუსეთზე ზეწოლაში ამერიკას მხარი დაუჭიროს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი აცხადებს, რომ დიდი ბრიტანეთი უკრაინისადმი სამხედრო დახმარებას გააგრძელებს, რაც ვლადიმერ პუტინის პირდაპირ გამოწვევას ნიშნავს იმ მხრივ, რომ კრემლს კიევისადმი დახმარების სრული შეწყვეტა სურს. თემთა პალატაში გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ადასტურებს დიდი ბრიტანეთის „ურყევ მხარდაჭერას“ უკრაინელი ხალხისადმი.

ანალოგიური განცხადება გააკეთა ფინეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე სტუბმა 19 მარტს ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ, ჰელსინკში. გერმანია გეგმავს უკრაინას დამატებით სამ მილიონამდე ევრო გამოუყოს, ხოლო ევროპელი ლიდერების ლონდონის სამიტზე მოსკოვზე ზეწოლის გამკაცრების ვარიანტები იქნება განხილული.

**ყველასათვის ნათელი გახდა – უკვე მერამდენედ, თუ როგორ „ერთგულად“ იცავს ვლადიმერ პუტინი მიცემულ დაპირებებს. იქნებ დონალდ ტრამპი ახლა მაინც მიხვდეს, რომ რუსი კოლეგა მას ათამაშებს... მაგრამ როგორ რეაგირებას მოახდენს აშშ-ის პრეზიდენტი?**

---



**ბერლინში** ცოტა ხნის წინათ გამოიცა გერმანიის ბუნდესვერის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი გერმანელი სამხედრო ექსპერტის **კარლო მასალას** წიგნი **„თუ რუსეთი გაიმარჯვებს...“**. რა მოხდება, თუ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ომს მოიგებს? რამდენად დიდია ახალი ომის საფრთხე ნატოს წინააღმდეგ? – აი, კითხვები, რომლის პასუხებსაც მკითხველი წიგნში წაიკითხავს.

გერმანული რადიო **„დოიჩე ველე“** **(Deutsche Welle)** აქვეყნებს ინტერვიუს პროფესორ **კარლო მასალასთან** სათაურით **„თუ რუსეთი უკრაინას დაამარცხებს: რა იქნება შემდეგ? გერმანელი ექსპერტის სცენარი“** (ესაუბრება ჟურნალისტი რომან გონჩარენკო).

**გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:**

Deutsche Welle

# თუ რუსეთი უკრაინას დაამარცხებს, რა იქნება შემდეგ?




**– თქვენს წიგნში გადმოცემულია სცენარი, რომელშიც უკრაინა იძულებულია კაპიტულაცია გამოაცხადოს, თანაც ქვეყანა თავისი ტერიტორიის 20%-ს კარგავს. თქვენ ასევე წერთ, რომ თუ ეს ნამდვილად ასე მოხდება, მაშინ რუსეთი ომში გამარჯვებული იქნება. გამოდის, რომ რუსეთმა ფაქტიურად უკვე გაიმარჯვა?**

– დიახ, ასეთ შემთხვევაში რუსეთი გამარჯვებული იქნებოდა. ამიტომაც, თუ რუსეთი შეინარჩუნებს უკრაინის იმ ტერიტორიას, რომელიც ახლა ოკუპირებული აქვს, ეს უკვე რუსეთის გამარჯვებას ნიშნავს. კითხვა იმაზე, მიაღწია თუ არა რუსეთმა თავის სამხედრო მიზნებს თუ არა, მეორადია, იმიტომ, რომ ცეცხლის შეწყვეტა, ზავი და სხვა მსგავსი მოქმედებები, რუსეთისათვის მხოლოდ ტერიტორიული მონაპოვრის განმტკიცებას ემსახურება.

**– ანუ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს უკვე შეუძლია თქვას: „კარგი, მოდით დავამთავროთ ომი“. რამდენად არის ეს შესაძლებელი?**

– ამჟამად ეს ნაკლებსავარაუდოა – იმიტომ, რომ ვლადიმერ პუტინს უფრო ფართო და პერსპექტიული, შორს მიმავალი მიზნები აქვს. მას სურს პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის დამხობა და უკრაინის ხელისუფლების შეცვლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრემლს სურს ისეთი სიტუაცია იყოს უკრაინაში, რომლის დროსაც ახალი არჩევნები ჩატარდება და მთავრობა პრორუსული იქნება. მაგრამ მას კიდევ აქვს ისეთი მიზნები, რომლებიც უკრაინის ფარგლებს სცილდება...

**– მოდით, ამ მხრივ თქვენს წიგნში მოცემულ სცენარს მივყვეთ: უკრაინამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე კონსტიტუციური ვალდებულება ნეიტრალიტეტის დაცვის თაობაზე, უკრაინა არ უნდა გახდეს ნატოს წევრი. სამშვიდობო ძალები, რომლებიც ევროპელი და ჩინელი ჯარისკაცებისაგან არის შედგენილი, თვალს ადევნებენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს, მაგრამ არ ერევიან ომში, თუ რეჟიმს რომელიმე მხარე დაარღვევს. მსოფლიო ბანკი აფინანსებს აღდგენით სამუშაოებს არამარტო უკრაინის იმ ტერიტორიაზე, რომელიც კიევის კონტროლქვეშ იქნება, არამედ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. უკრაინის ეკონომიკა სუსტია, მოსახლეობის განწყობა – უღიმღამო და გულგატეხილი... შესაბამასად, ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში პრორუსული პოლიტიკური ძალები მოდიან. იბადება კითხვა: თუ ასე მოხდება, მაშინ რა პერსპექტივა ექნება უკრაინის ევროპულ მიზანს – ევროკავშირში გაწევრიანებას? თუ უკრაინის მთავრობა პრორუსული იქნება, მაშინ ევროკავშირი, აშშ-ის მსგავსად, უკრაინას ბედის ანაბარად მიატოვებს?**

– არა, მე ასე არ ვფიქრობ. მე ჩემს წიგნში უკრაინის ევროპულ პერსპექტივაზე განგებ არ ვწერ – იმიტომ, რომ ევროკავშირში გაწევრების პროცესი ხანგრძლივია. ჩემი სცენარის მიხედვით მოვლენები ხდება 2028 წელს. მინდა ვთქვა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროკავშირი უარს იტყვის ზოგიერთი იმ კრიტერიუმის გამოყენებაზე უკრაინის მიმართ, რომლებსაც კანდიდატი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს, უკრაინას მოკლე დროში წევრად მაინც არ მიიღებენ და რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირიდან საკმაოდ მორეულ დისტანციაზე იქნება. პირდაპირ გეტყვით: უკრაინა თუნდაც ევროკავშირის წევრი გახდეს, ეს ფაქტი–უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით – რუსეთს მაინც ვერ შეაკავებს.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ ევროკავშირს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში თავისი წევრების მიმართ კოლექტიური დახმარების პუნქტი აქვს ჩაწერილი, ამ ვალ-

## ტრამპი რომ რუსეთისკენ შებრუნდა, ამაში გასაკვირი არაფერია... არსებობს სამკუთხედის თეორია, რომ... არ შეიძლება ერთდროულად დაუპირისპირდე ჩინეთსაც და რუსეთსაც



**მსოფლიოში განიხილავენ იმას, დაუგო თუ არა ვლადიმერ პუტინმა ხაფანგი დონალდ ტრამპს და „გადააგდო“ თუ არა იგი. რას ნიშნავდა, ნაწილობრივი ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკების შემდეგ უკრაინაზე შეტევა და ენერგოობიექტების დაბომბვა?! ეს ხომ ტრამპის დამცირება და იგნორი იყო?!**

**მომხდარის მიუხედავად, დონალდ ტრამპი იმედიანად უყურებს რუსებთან კონტაქტს და მიიჩნევს, რომ ამერიკას რუსეთთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, რადგან რუსებს მსოფლიოში ყველაზე დიდი ტერიტორია, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მიწა, 11 სასაათო სარტყელი აქვთ. ამასთან, ტრამპს კიდევ უფრო დიდი მიზანი აქვს – რუსეთი ჩინეთს ჩამოაცილოს.**

ფინეთის პრეზიდენტი **ალექსანდერ სტუბი,** რომელიც აგვისტოს ომის დროს საქართველოში ცეცხლის შეწყვეტის შუამავლობით იყო დაკავებული, ამბობს, რომ ესაა პუტინის ტაქტიკა, როცა აგრესორი ამბობს, რომ ცეცხლის შეწყვეტა სურს, მაგრამ უარს ამბობს ვალდებულებების შესრულებაზე. სტუბი ფიქრობს, რომ რუსეთის შეკავების ერთადერთი ტაქტიკა უკრაინის კბილებამდე შეიარაღებაა. მისი აზრით, სატელეფონო საუბარი ტრამპსა და პუტინს შორის სწორი მიმართულების ნაბიჯი იყო, მაგრამ ახლა გამოჩნდა პუტინის ნამდვილი სახე.

# სამკუთხედის თეორია

როგორი იქნება ტრამპის შემდეგი სვლები დაუმორჩილებელი პუტინის მიმართ?!

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, მეცნიერი **თამარ კიკნაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ამერიკა-რუსეთს შორის მოლაპარაკების პროცესი მარტივი არ არის.



**„ტრამპი რომ რუსეთისკენ შებრუნდა, ამაში გასაკვირი არაფერია, შეგიძლიათ, ჩემი გამოსვლები გადაახვიოთ და ნახოთ, როდის ვამბობდი ამის შესახებ. ეს აბსოლუტურად ბუნებრივი გეოპოლიტიკური ნაბიჯია, რომელიც ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჯერ ერთი, არსებობს სამკუთხედის თეორია, რომ არ შეიძლება ერთდროულად დაუპირისპირდე ჩინეთსაც და რუსეთსაც. გარდა ამისა, რუსეთი ძალიან დიდი და მდიდარი სახელმწიფოა, აშშ-ს კი ახლა ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი აქვს. ამიტომ ყველა ქმედება, რასაც ტრამპი მოიმოქმედებს, გამომდინარეობს იმ ინტერესებიდან და პრობლემებიდან, რომლის წინაშეც დღეს აშშ დგას“,** – აღნიშნა **თამარ კიკნაძემ**.

მანვე განმარტა, რომ პროცესის დაწყება ძალიან კარგია, განსაკუთრებით, საქართველოსთვის. მთელი ჩვენი უბედურება იყო იმაში, რომ ვერ გვიყოფდა დასავლეთი და რუსეთი, ახლა კი ძალიან კარგი პერიოდია, რუსეთმა და აშშ-მა მოილაპარაკონ და ჩვენ ამ მოლაპარაკების შედეგად უკვე განსაზღვრული გვექნება, სად ვართ და რა უნდა გავაკეთოთ.

ამასთან, თამარ კიკნაძეს იმედიანად განაწყობს ღირებულებების თანხვედრა. ის ღირებულებები, რითაც ტრამპი მოვიდა, აბსოლუტურად მისაღებია საქართველოსა და რუსეთისთვისაც კი. სამხედრო დაპირისპირების გარდა, ძირითადი განხეთქილება აქსიოლოგიური მომენტია – გენდერული პოლიტიკა, უმცირესობების მხრიდან თავსმოხვეული ძალადობა, ულტრალიბერალიზმი, რაც ადამიანებს ცუდ მდგომარეობაში აგდებს. 30-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის ფონზე ლაპარაკია ხანგრძლივ პროცესზე, ჩამოყალიბდა მთელი რიგი მომლაპარაკებელი ჯგუფები, რომლებიც ყველა პრობლემაზე იმსჯელებენ, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა.

ანალიტიკოსის აზრით, პოლიტიკური ვაჭრობა რთული პროცესია, მით უმეტეს, როდესაც ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების წინაპირობაა. ტრამპისა და პუტინის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით რას იტყვის ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე უილსონი, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან იგი ძალზე ტენდენციურია. ტრამპს პუტინის ქმედებები არ ამცირებს, ამ შემთხვევაში, ტრამპი პოზიტიური ფიგურაა, რომელიც დაუპირისპირდა „დიფ სთეითს“. საქართველოსთვის მისი მოქმედებები მისაღებია. პროცესი დაიწყო, ეს ჯგუფები მოამზადებენ ტრამპისა და პუტინის ფიზიკურად შეხვედრის პროცესს, რაღაცაში ეთანხმებიან ერთმანეთს, რაღაცაში არა, ეს საკმაოდ რთული პროცესია და დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და პოლიტიკური ვაჭრობის სფეროა.

„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი **ლევან ნიკოლეიშვილი** არ იზიარებს მავანთა მოსაზრებას, რომ პუტინმა ტრამპი „გადააგდო“. ეს ილუზიაა იმ ძალების მხრიდან, ვისაც არ აწყობს მშვიდობის დამყარება. ჯერჯერობით 30-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის ეტაპია, კიდევ მიმდინარეობს დეტალების შეჯერება. მაგალითად, შეთანხმდნენ ზაპოროჟიეს ატომური სადგურის დაცვის ქვეშ აყვანაზე, შეერთებული შტატები ამ სადგურს დაიცავს. გასაგებია, ზელენსკის თავისი მოსაზრებები აქვს, რუსეთს – თავისი, შტატებს კიდევ თავისი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ოფიციალურ დონეზე ცნობილია, რომ მოლაპარაკება ნორმალური მიმართულებით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები არ დაწყებულა კარგად ზელენსკის ამბიციებისა და დავალებების გამო, რაც მას ჰქონდა ევროპისგან მიღებული. დღეს რაზეც წუხან ევროკავშირის ქვეყნები და ევრობიუროკრატები, არის ის, რომ ისინი ამ პროცესებში გარიყულნი არიან. გარიყულნი არიან იმიტომ, რომ მათ არ აწყობთ მშვიდობა, მათ უნდათ ომის გაგრძელება.



**„ნამდვილად უნდა თუ არა პუტინს ომის დასრულება, ამაზე რთულია საუბარი, მაგრამ, თავისთავად, მის ინტერესში უნდა იყოს, ცეცხლი შეწყდეს და დროებითი მშვიდობა დამყარდეს. ზელენსკი ამბობს, რომ რთული პროცესი იქნება ტერიტორიებთან დაკავშირებით, რადგან მოუწევს უკრაინის გარკვეული ტერიტორიის დათმობა რუსეთისთვის. თუ ასეთი კომბინაცია დალაგდა, პუტინს რატომ არ უნდა აწყობდეს ომის დასრულება? დამარცხებულის იმიჯი ხომ არ ექნება? აქ მთავარია, ვინ რას ჩათვლის გამარჯვებად. რუსეთი გამარჯვებად ჩათვლის, რომ აღარ მოხდება უკრაინის ნატოში შესვლა, არადა, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რისთვისაც ომი დაიწყო პუტინმა. გარდა ამისა, ომი მიმდინარეობს არა რუსეთის, არამედ უკრაინის ტერიტორიაზე, ანუ ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს, რაც კიდევ ერთი პლუსია რუსეთის გადმოსახედიდან. კიდევ ერთი პლუსი რუსეთისთვის ისაა, რომ კურსკიდან უკრაინის ჯარების გამოძევება ხდება. საერთოდ, გაუგებარია, უკრაინა რატომ შევიდა კურსკში, რატომ შეაკლა ამდენი ადამიანი?! რუსეთმა რომ დახოცა თავისიანები, ეს გასაგებია, მაგრამ უკრაინამ რატომ მიიღო ასეთი ზარალი კურსკში შესვლით? რა მოიგო კურსკში? ალბათ, უკრაინაში ვიღაც ფიქრობდა, რომ კურსკში დაკავებულ ტერიტორიებს გაცვლიდა უკრაინის სხვა ტერიტორიებზე, მაგრამ ასე არ მოხდა“,** – აღნიშნა **ლევან ნიკოლეიშვილმა.**

მოამზადა
**მანანა ნოზაძემ**




დებულებას ვერ შეასრულებს – მას არ აქვს მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განმხორციელებლი სტრუქტურები. მხოლოდ ევროკავშირი ვერ შეძლებს გაუმკლავდეს ისეთ მოვლენას, როგორიც, მაგალითად, ბირთვული სახელმწიფოს მიერ დაწყებული სრულმასშტაბიანი ომი იქნება ევროკავშირის რომელიმე წევრის წინააღმდეგ. ევროკავშირს ამისათვის არც არმია ჰყავს და არც ფინანსური შესაძლებლობები არ აქვს. სხვათა შორის, ნატოს ძლიერებას 40-დან 70%-მდე ამერიკელები უზრუნველყოფენ.

**– თქვენს წიგნში ჩანს, დარწმუნებული არ ხართ, გააგრძელებს თუ არა ევროკავშირი უკრაინისადმი დახმარებას, როგორც ბრიუსელი დღემდე აკეთებდა. თქვენი ლოგიკის თანახმად, დახმარების შეჩერება იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფლებებში სხვა პარტიები მოვლენ. თქვენ წერთ, რომ 2027 წელს საფრანგეთის ხელისუფლებაში მარინ ლე პენის პარტია „ეროვნული გაერთიანება“ გაბატონდება, ყოფილი „ეროვნული ფრონტი“ და ქვეყნის პრეზიდენტიც შეიძლება ამ პარტიიდან იყოს. შესაბამისად, საფრანგეთი და შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც, უკრაინისადმი დახმარების გაწევას დაბლოკავენ. ასეა?**

– დიახ, ჩემი ვარაუდით, თუ ცეცხლი შეწყდება და რუსეთი „კარგად მოიქცევა“, ანუ ტაქტიკურად მშვიდობიანად იმოქმედებს, ანუ არ გამოაჩენს რაიმე ნიშნებს უკრაინაზე (და, სამომავლოდ, იქ განლაგებულ ევროპულ სამხედრო ძალებზე) თავდასხმის მიზნით უახლოესი ორი წელიწადის განმავლობაში, მაშინ ევროპაში ძალიან მალე დაიწყება დისკუსია – ღირს თუ არა დახმარების გაწევა? აზრი აქვს თუ არა დიდი ფულის ხარჯვას? იმიტომ, რომ მართლაც დიდი თანხები იხარჯება, რომლებიც ევროპის ქვეყნებს სხვა მიზნებისთვისაც ჭირდებათ: სოციალური პროგრამების დაფინანსებაში, საკუთარი ეკონომიკის აღმავლობისათვის და ა.შ. ჩემი ვარაუდით, თუ უკრაინა ომს წააგებს, მაშინ პოპულისტური და ექსტრემისტული პარტიები დაიწყებენ ლაპარაკს იმაზე, რომ თუ წასაგები იყო ომი, უმჯობესი იყო ეს სამი წლის წინ მომხდარიყო. ვიმეორებ, ასეთი ლაპარაკი აუცილებლად დაიწყება და მოსახლეობაც, თავის მხრივ, შეეცდება არჩევნებში თავისი ხმა მსგავს პარტიებს მისცეს.

**– თქვენ თქვით, რომ, ალბათ, რუსეთი „კარგად მოიქცევა“ და უკრაინას თავს არ დაესხმებაო. მაგრამ რატომ გგონიათ, რომ არ დაესხმება, განა მოსკოვი პირობას დაიცავს?**

– საკითხი ასე დგას – რამდენად სწრაფად აღადგენს რუსეთი თავის არმიას ხელახლა თავდასხმისათვის. ჯარების ძლიერების აღდგენას განმეორებითი შეჭრისათვის დრო ჭირდება. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მეორე მხარეც მოემზადება. შესაძლოა პროცესი 6 თვე, ან ერთი წელი გაგრძელდეს, თუმცა ეს დროც საკმარისია იმისთვის, რომ დისკუსია დაიწყოს და ორივე მხარეს მშვიდობის სურვილმა იმძლავროს.

**– დავუბრუნდეთ ჩვენს საწყის ჰიპოთეზას: უკრაინა ომს აგებს, მაგრამ რამდენად შეუძლია კიევს ომის მოგება? რა შეიძლება ამისთვის გაკეთდეს? გჯერათ თქვენ, რომ აშშ და რუსეთი წარმატებით დაასრულებენ მოლაპარაკებას და დაიდება სამშვიდობო ხელშეკრულება?**

– მე ამ მოლაპარაკებიდან ბევრს არაფერს ველოდები. იმ შემთხვევაში, თუ დონალდ ტრამპი ყველაფერზე დათანხმდება, რასაც რუსები ითხოვენ, საბოლოოდ მათი მოლაპარაკების შედეგი უკრაინამ უნდა მიიღოს... მაგრამ მტკიცე უსაფრთხოების გარანტიების გარეშე უკრაინა ხელშეკრულების პირობებს არ დათანხმდება: „ჩემზე ჩემს გარეშე“? ასე რომ, გადამწყვეტი მომენტი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ არა ევროპელები ამერიკელების ჩანაცვლებას. თუ შეძლებენ, უკრაინა ბრძოლას გააგრძელებს. საბოლოო ჯამში, საკითხი ეხება რუსების სამხედრო ლოგიკის ცვლილებას – მათ ახლა ჰგონიათ, რომ ისინი უფრო მეტად ომის გაგრძელებით მოიგებენ, ვიდრე ომის შეწყვეტით. სინამდვილეში რუსეთის სამხედრო მანქანის მექანიზმი „ცვდება“ და კრემლს ომის უსასრულოდ გაგრძელება ასეთი ინტენსიურობით და ასეთი დანაკარგებით არ შეუძლია“.

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**





დელია აკელი



# მივიწყებული ქალი მკვლევარი

**დელია აკელი (1869-1970) ამერიკელი მკვლევარი და ეთნოგრაფი გახლდათ, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აფრიკის ექსპედიციებში მე-20 საუკუნის დასაწყისში. მიუხედავად მისი წვლილისა ანთროპოლოგიასა და ზოოლოგიაში, მას ხშირად ჩრდილავდა ქმარი, ცნობილი ნატურალისტი კარლ აკელი.**

უისკონსინში დაბადებული დელია თავგადასავლებისადმი დიდი სიყვარულით იზრდებოდა. იგი დაქორწინდა კარლ აკელიზე, ცნობილ ტაქსიდერმისტზე და ნატურალისტზე, რომელთან ერთადაც, აფრიკის მრავალ ექსპედიციაში იმყოფებოდა. თავდაპირველად ქმრის თანაშემწე იყო, მაგრამ მალევე დაამტკიცა, რომ, როგორც სპეციალისტი, არავის არ ჩამოუვარდებოდა.



1900-იანი წლების დასაწყისში აკელიები ინტენსიურად მოგზაურობდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, აგროვებდნენ ნიმუშებს ჩიკაგოს საველე მუზეუმისთვის და ამერიკის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმისთვის. დელია გახდა ერთ-ერთი პირველი დასავლელი ქალი, რომელმაც დააფიქსირა პიგმეების ცხოვრება კონგოში, ჩაეფლო მათ კულტურაში და ისწავლა მათი გზები. იგი, ასევე, გადაურჩა სახიფათო შეტაკებებს ველურ ცხოველებთან, გაუძლო მკაცრ გარემოს.

1923 წელს, კარლთან განქორწინების შემდეგ, დელიამ მარტო განაგრძო კვლევები, რაც მაშინ ქალისთვის იშვიათი იყო. იგი ხელმძღვანელობდა საკუთარ ექსპედიციებს აფრიკის სიღრმეში, ფოკუსირებული იყო ეთნოგრაფიულ კვლევებზე, თვეების განმავლობაში ცხოვრობდა პიგმეებთან, აღწერდა მათ ტრადიციებს, ენას და ყოველდღიურ ცხოვრებას.

მისმა წიგნმა – „ჯუნგლების პორტრეტები“ (1930) – წარმოადგინა იშვიათი შეხედულებები აფრიკული ტომობრივი კულტურების შესახებ, რამაც ეჭვქვეშ დააყენა დასავლელების სტერეოტიპები.

მიუხედავად ინოვაციური მუშაობისა, დელია აკელი უცნობი დარჩა მისი ეპოქის სხვა მკვლევრებთან შედარებით. მისი წვლილი ანთროპოლოგიაში, ზოოლოგიასა და აფრიკულ კვლევებში ხშირად შეუმჩნეველი იყო მამაკაცი კოლეგების, მათ შორის, მეუღლის სასარგებლოდ, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ისტორიკოსებმა დაიწყეს მისი მიღწევების გადაფასება და აღიარეს დელია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ქალი მკვლევარი, რომელმაც ძირძველი აფრიკული კულტურები გამოავლინა.

# ალექსანდრია იძირება!..

**ისტორიული ეგვიპტური ქალაქი ალექსანდრია ზღვის დონის მატების გამო დანგრევის პირასაა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ მიზეზით 280 შენობა ჩამოინგრა.**

2 300 წლის ამ ზღვისპირა ქალაქში, რომელიც კლეოპატრასა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დამსახურებით გახდა ცნობილი, საფრთხის წინაშე კიდევ 7000 შენობაა. მხოლოდ 2014-2020 წლებში ქალაქში 86 შენობა მთლიანად განადგურდა, 201 კი ნაწილობრივ ჩამოიშალა. ამ ყველაფერს 85 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

**„ამ დანაკარგის ნამდვილი ღირებულება აგურებისა და ცემენტის ფასს ბევრად აღემატება“**, – წერს კვლევის თანაავტორი, ვიტერბის საინჟინრო სკოლის წარმომადგენელი **ესამ ჰეჯი. „ჩვენ ისტორიული ზღვისპირა ქალაქების თანდათანობით გაუჩინარების მომსწრენი ვხდებით, რაც საგანგაშოა. ის, რაც ოდესღაც შორეულ კლიმატურ რისკებად გვესახებოდა, ახლა უკვე ჩვენი რეალობაა“.**

ზღვისპირა ქალაქებში შენობების ნგრევას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის ზღვის დონის მატება და ამის შედეგად მიწისქვეშა ფენებში წყლის შეჭრა. ეს ყველაფერი ნიადაგის ეროზიას იწვევს: მიწა იშლება, სითხე კი შენობის საძირკველში არსებულ ფოლადის არმატურას ასუსტებს, რაც ნაგებობებს არასტაბილურს ხდის და ნგრევის საფრთხის წინაშე აყენებს.

ოკეანური და ატმოსფერული კვლევების ეროვნული სააგენტოს (NOAA) მონაცემებით, 1880 წლიდან მოყოლებული, ზღვის დონემ ატლანტიკის ოკეანეში გლობალურად 20-23 სანტიმეტრით მოიმატა, 1993 წლის შემდეგ კი — კიდევ 10 სანტიმეტრით. თუ კლიმატის ცვლილებას არ შევეწინააღმდეგებით, ვარაუდობენ, რომ აშშ-ში 2100 წლისთვის წყლის დონე, 2000 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2.2 მეტრით მოიმატებს. ზღვის დონის მატების მასშტაბის დასადგენად კვლევის ფარგლებში ექსპერიმენტი ჩაატარეს. მეცნიერებმა ალექსანდრიაში 2001-2004 წლებში ჩამონგრეული შენობების რუკა შეადგინეს. ასევე, ქალაქის 1974-2021 წლების სატელიტური ფოტოები 1887, 1959 და 2001 წლებისას შეადარეს. დადგინდა, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ალექსანდრიის სანაპირო ზოლმა ათეულობით მეტრით ხმელეთისკენ შეიწია.

ეროზიის დონის შესაფასებლად მეცნიერებმა ნიადაგში არსებული ქიმიური იზოტოპები გამოიკვლიეს.

**„ჩვენმა იზოტოპურმა ანალიზმა ცხადყო, რომ შენობები ქვემოდან ზემოთ ინგრევა, რაც ნიადაგში წყლის შეჭრითა და საძირკვლის დასუსტებითაა გამოწვეული“**, – აღნიშნა ნიადაგის რადიაციის მკვლევარმა, ალექსანდრიის უნივერსიტეტში მომუშავე **იბრაჰიმ სალემმა.**



მეცნიერები პრობლემის გადაჭრის გზებს გვთავაზობენ, რაც ალექსანდრიის სანაპიროზე ქვიშის დიუნებისა თუ სხვა დამცავი ბარიერების განთავსებას მოიცავს. ფიქრობენ, რომ შენობების საძირკვლის ამაღლება, უკიდურეს შემთხვევაში კი მაღალი რისკის მქონე ზონებში მცხოვრები მოსახლეობის სხვაგან გადაყვანაც კარგი გამოსავალია.

# პოლ კერნი – კაცი, რომელსაც 40 წლის განმავლობაში არ უძინია

**ძილი ჩვენი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მის გარეშე, ადამიანი რამდენიმე დღეზე მეტხანს ვერ ძლებს, მაგრამ პოლ კერნის შემთხვევა მეცნიერებისთვის დღემდე ამოუხსნელია – ის 40 წლის განმავლობაში ძილის გარეშე ცხოვრობდა.**



პოლ კერნი უნგრელი ჯარისკაცი იყო და პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, ბრძოლის ველზე დაიჭრა. მას თავში ესროლეს – ტყვია შუბლში მოხვდა და ტვინის წინა ნაწილი დაუზიანა. ეს ჭრილობა სასიკვდილო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის გასაოცრად გადარჩა!

თავდაპირველად, ექიმები ფიქრობდნენ, რომ მამაკაცი კომატოზურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ან მეხსიერებას დაკარგავდა, მაგრამ კერნი გამოჯანმრთელდა – ოღონდ ერთ უცნაურ ცვლილებასთან ერთად: მას აღარ შეეძლო დაძინება. მას შემდეგ, რაც პოლ კერნი საავადმყოფოდან გაწერეს, აღმოაჩინა, რომ აღარ ეძინებოდა. ექიმები თავდაპირველად არ უჯერებდნენ მას, მაგრამ მდგომარეობა რეალური აღმოჩნდა.

პოლს არ ჰქონდა დაღლილობის შეგრძნება, არ განიცდიდა ძილის დეფიციტით გამოწვეულ ნევროლოგიურ პრობლემებს და მაინც აგრძელებდა ცხოვრებას, თითქოს, ეს ჩვეულებრივი რამ იყო. ერთადერთი ცვლილება, რომელსაც თავად აღნიშნავდა, გახლდათ ის, რომ დღეში მხოლოდ ორი საათი დასვენება ჰყოფნიდა – ამ დროს, უბრალოდ, თვალებს ხუჭავდა და ისვენებდა.

პოლის ტვინი, თითქოს, ისე იყო ადაპტირებული, რომ ძილის გარეშე ფუნქციონირებდა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ბიოლოგიურ კანონებს.

კერნი მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ექიმთან და ნევროლოგთან გადიოდა გამოკვლევებს. ყველა სპეციალისტი ერთხმად ამტკიცებდა, რომ ის უნდა მომკვდარიყო, რადგან ძილი აუცილებელია ტვინის აღდგენისთვის, თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა – პოლ კერნი ცოცხალი და აქტიური იყო. ამან უამრავი მკვლევარი გააოცა და დღემდე ამოუხსნელია, როგორ შეძლო ორგანიზმმა ძილის გარეშე გადარჩენა.

პოლ კერნი 1955 წელს, 40 წლის უძილობის შემდეგ გარდაიცვალა. არსებობს თეორიები, რომ ტყვიამ მისი ტვინის ნაწილი ისე დააზიანა, რომ ძილის საჭიროება, უბრალოდ, „გამორთო“. თუმცა, ეს ჰიპოთეზა ბოლომდე დადასტურებული არ არის.





# ჰერაკლიონი – დაკარგული ქალაქი, რომელიც წყალმა შთანთქა

**ოდესღაც ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პორტი, დღეს კი, წყალქვეშ მოქცეული იდუმალი ქალაქი – ეს ჰერაკლიონია. საუკუნეების განმავლობაში მისი არსებობა ლეგენდად ითვლებოდა, სანამ მეცნიერულმა აღმოჩენებმა ეს საოცარი ქალაქი კვლავ დღის შუქზე არ გამოიტანეს.**

ჰერაკლიონი ძვ. წ. VIII საუკუნიდან ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი იყო. იგი მდებარეობდა ნილოსის დელტასთან ახლოს და წარმოადგენდა ეგვიპტელთა ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო ცენტრს, სადაც ბერძნები, ფინიკიელები და სხვა ხალხები თავიანთ საქონელს ცვლიდნენ. სახელწოდება „ჰერაკლიონი“ ქალაქმა მთავარი ტაძრის გამო მიიღო, რომელიც ბერძნული მითოლოგიის გმირს, ჰერაკლეს ეძღვნებოდა.

XIII საუკუნეში ჰერაკლიონი სრულიად ჩაიძირა. ისტორიკოსები ამ ფაქტს რამდენიმე მიზეზით ხსნიან: მიწისძვრა და ცუნამი – ქალაქი მდებარეობდა ზღვისპირა დაბლობზე, რაც მას სტიქიური უბედურებების მიმართ დაუცველს ხდიდა.

ნაკლებად მყარი ნიადაგი – მიწისქვეშა რყევებმა გამოიწვია ქალაქის ნიადაგის დაშლა, რის შედეგადაც იგი წყალმა შთანთქა.

კლიმატური ცვლილებები და ზღვის დონის მატება – დროთა განმავლობაში ეს ფაქტორებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

1999 წელს ცნობილი არქეოლოგი ფრანკ გოდიო და მისი ჯგუფი ხმელთაშუა ზღვაში, აბუქირის ყურეში, წყალქვეშა კვლევებისას შემთხვევით წააწყდნენ უძველეს ნანგრევებს. ეს აღმოჩენა არქეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება იყო.

მკვლევრებმა ქალაქში აღმოაჩინეს: გიგანტური ქვის ქანდაკებები, რომლებიც ძველი ტაძრების შესასვლელებს ამშვენებდა; ძვირფასი სამკაულები და მონეტები, რომლებიც სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობაზე მეტყველებს; უზარმაზარი სტელები (წარწერიანი ქვის ფილები), რომლებიც ქალაქის ისტორიას ასახავს; გემები და ანკესები, რაც ადასტურებს, რომ ჰერაკლიონი სავაჭრო და საზღვაო ცენტრი იყო.

დღეს ჰერაკლიონი კვლავ წყალქვეშაა, თუმცა მისი საოცარი მემკვიდრეობა პერიოდულად დღის შუქზე ჩნდება.



# ვამაყობთ საუკუნოვანი თანაცხოვრებით!

**21 მარტს მთავრობის მეთაური ირაკლი კობახიძე, პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან ერთად, მარნეულში ნოვრუზ ბაირამისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრო.**

პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს სიტყვით მიმართა და მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა.

**„ნოვრუზ ბაირამი არის განახლების, სიკეთის დღესასწაული. ჩვენ ვამაყობთ მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებით, მეგობრობით, რომელიც გვაკავშირებს ჩვენ, ქრისტიანებს და მუსლიმებს, ქართველებს და აზერბაიჯანელებს. ეს არის ნამდვილად საამაყო ურთიერთობა და მეგობრობა. ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ერთად ვქმნიდით ჩვენი საერთო ქვეყნის მომავალს. ეს ისტორია გრძელდება დღესაც და ეს არის ის შესანიშნავი ტრადიცია, რომელიც უნდა გადავცეთ ჩვენს შვილებს და მომავალ თაობებს. კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ნოვრუზ ბაირამი და გისურვოთ ყოველივე საუკეთესო, მშვიდობა და კეთილდღეობა“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა, ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი დოხტურიშვილმა, სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა, პარლამენტის წევრებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

# სიყვარულის, მეგობრობის, სიკეთის დღესასწაული

**აბანოთუბანში ნოვრუზ ბაირამთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება მიმდინარეობს.**

ფესტივალს დედაქალაქის მერი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან და ხუთი საელჩოს წარმომადგენელთან ერთად დაესწრო.

კახა კალაძემ შეკრებილ საზოგადოებას და მუსლიმ თანამოქალაქეებს ნოვრუზის დღესასწაული მიულოცა და ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„მინდა, მივულოცო ყველა იმ ადამიანს, ვინც დღეს აღნიშნავს ნოვრუზ ბაირამს. ეს არის განახლების, სიკეთის, სიხარულის დღესასწაული. ჩვენ ყველამ ერთმანეთს უნდა ვუსურვოთ სიხარული, სიყვარული და სიკეთე.**

**მე, როგორც თბილისის მერი, როგორც ამ ულამაზეს ქალაქში მცხოვრები ადამიანი, ძალიან ამაყი ვარ, რომ სხვადასხვა ეროვნების, მრწამსის ადამიანები საუკუნეებია უვლიან, ალამაზებენ და სიყვარულით ეპყრობიან ჩვენს თბილისს. ეს არის ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი ქალაქის მრავალფეროვნება და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის ის, რომ ჩვენ ყოველწლიურად ერთად აღვნიშნავთ ნოვრუზ ბაირამს და ეს მომავალშიც გაგრძელდება.**



## კახა კალაძე: ამაყი ვარ, რომ სხვადასხვა ეროვნების, მრწამსის ადამიანები საუკუნეებია უვლიან, ალამაზებენ და სიყვარულით ეპყრობიან ჩვენს თბილისს!

**კიდევ ერთხელ გილოცავთ! სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერებასა და მშვიდობას გისურვებთ, როგორც თქვენ, ასევე მთელ მსოფლიოს“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

ნოვრუზ ბაირამის ფესტივალი ყოველწლიურად აღინიშნება. ღონისძიების ფარგლებში, აბანოთუბანში გაიმართა ერთ-ერთი მთავარი ტრადიციული ცერემონია – კოცონის დანთება. მოწყობილია აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, თურქეთისა და ირანის საელჩოების მიერ მოწყობილი სტენდები, სადაც წარმოდგენილია ნოვრუზის ტრადიციები და კულტურა. ასევე, დამთვალიერებლებისთვის დღის განმავლობაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სპორტული საბრძოლო ხელოვნება, ცეკვები, მუსიკალური ნომრები.

# ჟურნალისტიკა – აზრების სიტყვებით გადმოცემის ხელოვნება



(მესამე გვერდიდან)

გამოგვემშვიდობა და წავიდა. ერთი კვირის შემდეგ ჩემმა მეუღლემ აღმოაჩინა, რომ ტელევიზორის ქვეშ ჩუმად 500 დოლარი დაეტოვებინა.

ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა, ვახტანგ რაზმაძემ დარეკა, თუ პატივს დამდებთ და პროკურატურაში მესტუმრებით, დიდად მადლობელი დაგრჩებით, მანქანა გარეთ გელოდებათო. წავედი. მძღოლმა კაბინეტის კარი გამიღო და დამტოვა. კაბინეტში ორნი იყვნენ, ბატონი ვახტანგი და რუსთავის ყოფილი პროკურორი. საქმე ის არის, რომ ორი წლით ადრე გამოვაქვეყნე ძალიან მწარე ჟურნალისტური გამოძიება ერთ სასტიკ და ფორმალურად გაუხსნელ მკვლელობაზე – 17 წლის გოგონა ქალაქში მოთარეშე სადისტურ ჯგუფს ემსხვერპლა. საქმე კი გაუხსნელი მხოლოდ იმის გამო დარჩა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელი კრემლში მოღვაწე ერთი ძალიან მაღალი ჩინოსნის შვილიშვილი და საქართველოში მოღვაწე აგრეთვე საკმაოდ მაღალი ჩინოსნის შვილი იყო. მოკლედ, მე, პარტიული გაზეთის თანამშრომელმა დაუნდობლად „ჩავუშვი“ უმაღლესი პარტიული არისტოკრატიის წარმომადგენელი და, ბუნებრივია, პროკურორიც.

ბატონი ვახტანგი, საკმაოდ მრისხანე და დამთრგუნველი გარეგნობის კაცი, შემომეგება, ხელი ჩამომართვა და მაგიდასთან მიმიწვია. რუსთავის ყოფილი პროკურორი კი ფანჯარასთან დარჩა და ჩემთან მოახლოება არც უფიქრია – რა უნდა ველაპარაკო, ამ კაცმა გაზეთში სტატია ჩემთან შეუთანხმებლად გამოაქვეყნაო.

რაზმაძე რამდენიმე წამით გაჩუმდა და მერე თანამშრომელს მიუბრუნდა – ამ კაცს რედაქციაში თავისი უფროსი ჰყავს და, შენ კი არა, იმას უთანხმებს, რა დაწეროს და რა გამოაქვეყნოს. მოდი ახლა აქ, ხელი ჩამოართვი და ბოდიში მოუხადე... შენ ეს მართლა ქორიძე ხო არ გგონია, ეს ნაპალეონია, ბიჭო, ნაპალეონი...

რედაქციაში ვზივართ, ახალ ნომერს ვამზადებთ და არის ერთი გაწამაწია. ვიღაც რეკავს. ავიღე ყურმილი და ხმა არ გამოდის. ისევ რეკავს, მერე კიდევ და მერე კიდევ. ბოლოს ყურმილი ჩვენს თანამშრომელს, სოსო სიმონიშვილს მივაწოდე – მიდი, თუ ძმა ხარ, იქნებ შენ დაგელაპარაკოს, ეტყობა, ვიღაც უსაქმურია. სოსომ ყურმილი აიღო და მაშინვე ცივად უკან დამიბრუნა – არ ვარ, კაცო, მე ვიღაც უსაქმური, ედუარდი ვარ შევარდნაძე. მადლობა მინდოდა მეთქვა, თქვენი დახმარებით ვიპოვე საათი, ფილარმონიაში ტრიბუნაზე რომ დამრჩა...

კიდევ ერთი არცთუ სახალისო ისტორია. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გამოვაქვეყნე ინტერვიუ **ლავრენტი ბერიას** მეუღლე **ნინო გეგეჭკორთან**. თუ შეიძლება ცოტას წავიტრაბახებ – მე ვარ ერთადერთი ჟურნალისტი მსოფლიოში, ვინც პირადად შეხვდა ქალბატონ ნინოს და მისგან ინტერვიუს აღება მოახერხა. ეს ინტერვიუ ძალიან მალე გადაბეჭდეს უკრაინულმა და რუსულმა გაზეთებმა. ჰონორარებიც გამომიგზავნეს. ერთხელაც უშიშროებიდან (მაშინდელი კგბ) დამირეკეს და მისვლა მთხოვეს. ოთახში ერთი, ასე 45 წლამდე სიმპათიური კაცი დამხვდა, თბილად მომიკითხა და ჩემი ლონდონელი ახლობლებით დაინტერესდა.

ლონდონში, სამწუხაროდ, არავითარი ახლობელი არა მყავს, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი-მეთქი. – მაშ, ფული, ვინ გამოგიგზავნაო? აგაშენა ღმერთმა, არც მაგის შესახებ ვიცოდი რამე, ფული კი მართლა ძალიან მჭირდება-მეთქი.

როგორც იქნა გაირკვა, რომ ეს ინტერვიუ რომელიღაც ევროპული გაზეთიდან პრესტიჟულ ბრიტანულ გაზეთს გადაუბეჭდია და ჩემთვის ჰონორარად 5000 ფუნტი სტერლინგი გადმოუგზავნია. საბოლოოდ, ამ სიმპათიურმა და ჩემზე მზრუნველმა „კაგებეშნიკმა“ მამცნო, რომ ეს ფული გადაირიცხებოდა საბჭოთა თავდაცვის ფონდში, მე კი მადლიერი საბჭოთა კავშირისგან არანაკლებ სოლიდურ თანხას, 500 მანეთს მივიღებდი!

რაღა მეთქმოდა.

ჩემი გაკეთებული საქმეებიდან რას გავიხსენებ? – ვიცი, სტატისტიკა მოსაწყენი რამეა, მაგრამ ახალგაზრდა დამწყები ჟურნალისტებისთვის იქნებ საინტერესო იყოს.

**ორმოცწლიანი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში გამოქვეყნებული მაქვს 1500-ზე მეტი სტატია; გამოცემული მაქვს წიგნები: „დიდი წვრილმანები“ (სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის); „საუბრები ჟურნალისტიკაზე“ (სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის); „შენ რომ სხვა მაჰკლა...“ (ლიტერატურული პუბლიცისტიკა); „ბედისწერა“ (პუბლიცისტური ფილოსოფიური ლექსიკონი). ჩემი თარგმანები შესულია „მსოფლიოს რჩეულ მოთხრობებში“ (ტომი მეოთხე და მეხუთე), გოთიკური მოთხრობების ორტომეულში. გამოსაცემად მზად არის წიგნები „უმოკლესი გზა ჯოჯოხეთისაკენ“ (სამართლებრივი პუბლიცისტიკა); „ნაცისტები და ნარცისები“ (სამართლებრივი პუბლიცისტიკა); „თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ“ (პოლიტიკური პუბლიცისტიკა); „ლაჩრების შურისძიება“ (პოლიტიკური პუბლიცისტიკა); „ომი უნდა დავამარცხოთ“ (პოლიტიკური პუბლიცისტიკა); „ტრაგიკული კვირის კომედიები“, ანალიტიკური პუბლიცისტიკა;„გოთიკური მოთხრობები“, ალექსანდრე დიუმა; „ბრუკლინს მხოლოდ მკვდრები იცავენ“, თარგმანები (რუსული, ფრანგული, გერმანული და არაბული ენებიდან).**

ყველაზე გახმაურებულ და უკვე მივიწყებულ საქმეებში მონაწილეობა? – ბევრს ვერ გავიხსენებ, მაგრამ ძირითადი, ალბათ ესაა: კერძო ტაქსების შემოღება; ციხეებიდან ფინანსური დანაშაულისთვის გასამართლებული მოქალაქეების გათავისუფლება; დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გაფლანგვის კანონის კორექტირება და ამ დანაშაულისთვის დასჯილი მოქალაქეების ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება; სახალხო მედიცინის ლეგალიზაცია; სსკ-დან სიკვდილით დასჯის შესახებ მუხლის გაუქმება; საქართველოს მოქალაქეებისთვის ციტრუსებით ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნა; გურჯაანის რაიონის სოფელ ყიტაანის სრული განადგურებისგან გადარჩენა...

* * *

**მოკლედ, ჟურნალისტებს ბევრი საქმე გაქვთ ძალიან ბევრი და ჩემი მეგობრული რჩევაა, დაივიწყოთ ყველაფერი, რასაც გააკეთებთ და იფიქროთ მხოლოდ გასაკეთებელზე.**

ისიც გაითვალისწინოთ, რომ ნიჭიერი, საქმიანი და თავდადებული ჟურნალისტის უპირველესი ღირსება არის შრომა, პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება და კიდევ ერთხელ მოთმინება.

**– ხელისუფლების გასაგონად რას ვიტყვი? – დროა, უკვე დიდი ხანია დროა, თუ არ დააფასებთ, დაინახოთ მაინც ნამდვილი ჟურნალისტების ნაღვაწი.**

**მკითხველსაც დიდი მადლობა მოთმინებისთვის.**

**თეიმურაზ ქორიძე**

23. 03. 2024

## რედაქციისგან

**107 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად მიესალმება თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ ბერმუხას, პუბლიცისტური სიტყვის დიდოსტატს, შესანიშნავი პედაგოგიური თვისებებით გამორჩეულ მეცნიერს, მწერალს, იუმორისტს თემურ ქორიძეს და უფალს შესთხოვს – კიდევ 100 წელიწადი ასეთი ცინცხალი აზროვნებით გვიცოცხლოს!..**

**მხნედ, ქართული ჟურნალისტიკის „ნაპოლეონო!“**

# იქნებ — წელსვე

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საერთაშორისო შერეული საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციის (IMMAF) პრეზიდენტს, კერით ბრაუნს შეხვდა.**



შეხვედრაზე 2025 წლის შემოდგომაზე საქართველოში შერეულ საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიოს ჩემპიონატის (MMA) ჩატარების შესაძლებლობა განიხილეს. აღინიშნა, რომ ამ თემაზე კომუნიკაცია და აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოში შერეულ საბრძოლო ხელოვნებათა განვითარების პერსპექტივებს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს სპორტის მინისტრი **შალვა გოგოლაძე** და მინისტრის პირველი მოადგილე **ირაკლი მეძმარიაშვილი** დაესწრნენ.

# ორბიტაზე — მეორედ

**საქართველო 2026 წელს ძიუდოს ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებული დეტალები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტთან, ლასლო ტოთთან შეხვედრაზე განიხილა.**

პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ევროპის ძიუდოს კავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარებას და ძიუდოს ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებას უზრუნველყოფს. ძიუდოს 2026 წლის ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარების დოკუმენტს ხელი სპორტის მინისტრმა, **შალვა გოგოლაძემ,** ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტმა, ლასლო ტოთმა და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა, **ლევან ნოზაძემ** მოაწერეს.

კონტინენტის პირველობაზე, რომელიც თბილისში 2009 წლის შემდეგ მეორედ მომავალი წლის 23-26 აპრილს გაიმართება, ევროპის არაერთი სახელოვანი ძიუდოისტი იასპარეზებს.

# საქართველოს სადიდებლად!

**ერთა ლიგის „გ“ დივიზიონში დასარჩენი პლეი-ოფის წინ ერთი შეხედვით უცნაური შედარება მოვისმინე: რამდენადაც ბორჯღალოსნები არიან გადაზრდილნი რაგბი ევროპისათვის და ელიტაში შანსის მიცემას იმსახურებენ, იმდენად საცოდაობა იქნება, ჩვენი საფეხბურთო ნაკრები თუ „გ“ დივიზიონში დაქვეითდებაო.**

ლოგიკურად ალბათ ასეც არის, მაგრამ როცა ძველ მეტოქე-მეზობელმეგობართა პრინციპულ ორრაუნდიან ბრძოლაზეა საუბარი, გამორიცხული არაფერია და სწორედ ამიტომ წაიკითხეთ: ერთი შეხედვით-თქო.

### სომხეთი– საქართველო 0:3

**პირველი ტაიმი 0:2**

ერევნის რესპუბლიკურ სტადიონზე ჯვაროსნები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც სახლში, რადგან 14-ათასიანი აუდიტორიის თითქმის ნახევარს მათი ქომაგები წარმოადგენდნენ, რომლებმაც შარშან გერმანული ევრო – 2024-ის მასპინძელი ქალაქების ქუჩების მსგავსად, ცეცხლი, გადატანითი მნიშვნელობით, სომხურ პროსპექტებზეც ისევე დაანთეს, როგორც მოგვიანებით ტრიბუნებზე.

აღარაფერს ვამბობთ თბილისის რესპუბლიკის მოედანზე დიდი ეკრანის წინ შეკრებილ გულშემატკივართა რიცხვმრავალ არმიაზე, რომელმაც საყვარელი გუნდის მხურვალე მხარდაჭერით კიდევ ერთხელ გააწნა სილა საქართველოს საამაყო ეროვნული ნაკრების წევრთა ნაცფაშისტური ბულინგის ავტორებს, უმნიშვნელოვანესი შეხვედრის წინ სოციალური ქსელები თვით მათდამი ბუმერანგივით დაბრუნებული ფეკალიების სადარი ტექსტებით რომ წალეკეს.

და, რაც არანაკლებ საგულისხმოა, ბიჭებს ზურგს, უკვე მერამდენედ, მშობლიური ოფიციოზი უმაგრებდა სამთავრობო ლოჟიდან პრემიერის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჩვენ გუნდს გამარჯვება კოლეგასთან ერთად გასახდელშიც მიულოცა.



მანამდე კი...

თუ მეტოქეს რამდენიმე ტრავმირებული საკვანძო ფიგურა აკლდა, სტუმრებს ვერ ეხმარებოდნენ დისკვალიფიცირებული დაცვის ბურჯი **გურამ კაშია** და უპირობო ლიდერი **ხვიჩა კვარაცხელია,** მაგრამ დებიუტანტი **ჯონ ვან შიპისგან** განსხვავებით, **ვილი სანიოლის** იძულებითმა ტაქტიკურმა ნაბიჯებმა ბოლომდე გაამართლა.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს **ლოჩოშვილ-გოგლიჩიძის** წყვილი, რომელმაც პირველად ითამაშა ასეთი ფუნქციით და საიმედოდ ჩაკეტა მთავარი საფრთხის შემცველი ზონა, ხოლო ერთწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გამოძახებული აზაროვისა და კვეკვესკირისგან არაფერი გაგვკვირვებია ისევე, როგორც მატჩის გმირ, ნაკრების ისტორიაში მე-20 დუბლის ავტორ **მიქაუტაძის, ჩაკვეტაძისა** და შესვენების შემდეგ **დავითაშვილის** დამრტყმელი ტრიოსაგან, რომელმაც უმოწყალოდ აიკლო მეტოქის უკანახაზელები. სხვათა შორის, ჩაკვემ მე-10 სანაკრებო ასისტი ჩაიწერა აქტივში, ჟორჟმა კი ბომბარდირთა დავაში **ქეცბაია** – კვარაცხელიას დუეტს გაუსწრო (18:17) და მხოლოდ **შოთა არველაძეს** ჩამორჩება (26 გოლი). ამას აუცილებლად უნდა დავუმატოთ გუნდის 26-ე კაპიტან **კიტეიშვილისა** და **მამარდაშვილის** პირველი ასისტის ფაქტორი.

ვფიქრობთ, მიქაუტაძემ იმავე საღამოს მესამე ბურთიც გაიტანა, როცა საფინალო სასტვენის შემდეგ ღიმილით გაესაუბრა მასპინძელთა თავკაცს, რომელიც აიაქსში თანამშრომლობის პერიოდში თითქმის არ აძლევდა თამაშის საშუალებას. დიახ, ხანდახან კაცები აწეული ტონის გარეშეც ამბობენ სათქმელს და ამაშია მათი ღირსება. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა იმ წუთებში ვან შიპის გულში.

და ბოლოს – ჩაროზად არანაკლებ ტკბილ ლუკმას გთავაზობთ: ერევანში ბატონ **ირაკლი კობახიძისა** და მისი თანმხლები დელეგაციის ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ საქართველო და სომხეთი ერთობლივ განაცხადს წარადგენენ ფიფაში 20-წლამდელთა 2029 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად.

**რატომაც არა?**

# ძიუდოს გენია



**ლაშა შავდათუაშვილმა თბილისის გრანდ სლემზე გამარჯვება ზედიზედ მეორედ მოახერხა და საქართველოს მეორე ოქრო, ჯამში კი, მეოთხე მედალი მოუტანა.**

73 კგ წონით კატეგორიაში ყველა ტიტულის მფლობელმა ფინალამდე მისვლა რუმინელი ლუსიან დუმიტრესკუს, აზერბაიჯანელი რუფატ შოვლათოვის, ავსტრიელი სამუელ გასნერისა და ფრანგი იოანბენჟამინ გაბას ძლევით მოახერხა. ლაშამ ნახევარფინალი დამატებით დროში ლამაზი გდებით მოიგო, რომელიც იპონად შეფასდა. ფინალში შავდათუაშვილის მეტოქე რუსეთის ნაკრების წევრი არმენ აღაიანი იყო, რომელსაც დაძაბულ ბრძოლაში ბოლოსკენ შესრულებული ილეთით აჯობა და ოქროს მედალი მოიხვეჭა.

იმავე დღესვე 81 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლები **ირაკლი ბეროშვილმა** და **ზაურ დვალაშვილმა** მოიპოვეს.

საქართველოს აქტივში ამ დროისთვის ექვსი მედალია (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო): **ეთერ ლიპარტელიანი** და **ლაშა შავდათუაშვილი** ოქროს, თემურ ნოზაძე ვერცხლს, ხოლო **ნინო ლოლაძე,** ზაურ დვალაშვილი და ირაკლი ბეროშვილი ბრინჯაოს დაეუფლნენ.

თბილისის გრანდ სლემის დღეებში ქართული ძიუდოსათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი რუსთავში მოხდა, სადაც ტატამის მომავალ ოსტატებს დაუვიწყარი მასტერკლასი იაპონელმა ლეგენდამ, ორგზის ოლიმპიურმა და სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა **შოჰეი ონომ** ჩაუტარათ.



# პაწვალის ხიბლი

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთის ტრასების სააგენტოს ორგანიზებით სვანეთში, კურორტ ჰაწვალზე სათხილამურო სეზონი „ზურულდის თასი 2025“-ით დაიხურა.**

ტურნირში მოყვარული მოთხილამურეები მონაწილეობდნენ და გამარჯვებულებს პრიზები გადაეცათ.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ იქვე სხვადასხვა ტიპის აქტივობები გამართა – მოეწყო კვების სივრცე და ფოტოზონა, ხოლო მუსიკალურ გაფორმებაზე დიჯეიმ იზრუნა.

ღონისძიების მიზანია სამთო-სათხილამურო კურორტის პოპულარიზაცია, რეგიონის სეზონურობის გახანგრძლივება და შიდა ტურიზმის წახალისება.

# მივიდა, ნახა, გაიმარჯვა!



**თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაში რევოლუციური მოვლენა მოხდა.**

არადა, ამერიკის სათავეში ორიოდე თვის წინათ **დონალდ ტრამპის** მეორედ მოსვლის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ წლევანდელ საოცრებათა ლიმიტი უკვე ამოწურული იყო, მაგრამ...

მოკლედ, საბერძნეთში გამართულ სოკ-ის 144-ე კონგრესზე მისმა დელეგატებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეათე პრეზიდენტად ცურვაში ზიმბაბველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კირსტი კოვენტრი** აირჩიეს, რომელმაც აღნიშნულ პოსტზე 12-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გასული გერმანელი, ასევე ოლიმპიური ნიჩბოსანი ჩემპიონი **თომას ბახი** შეცვალა.

დავძენთ, რომ სოკ-ის პირველმა აფრიკელმა და პირველმა თავქალმა 7 ღირსეული კანდიდატის კონკურენციაში პირველივე ტურში 49 ხმით გაიმარჯვა და მათ შორის იყვნენ ლეგენდარული ბრიტანელი მძლეოსანი **სებასტიან კოე** და **ხუან ანტონიო სამარანჩი**-უმცროსი. ასე რომ, ხუთრგოლიან სპორტში ახალი გენდერ-ეპოქა იწყება.

# რისხვა რინგზე

**76 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე, სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯორჯ ფორმენი.**

იგი 1949 წლის 10 იანვარს დაიბადა ტეხასში. 1968 წელს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა, რის შემდეგაც პროფესიულ კრივში გადავიდა. ამერიკელმა სახელი გაითქვა 70-იან წლებში, როცა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა.



1974 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკრივო ორთაბრძოლა, რომელშიც ფორმენი ჩემპიონის რანგში ხვდებოდა ლეგენდარულ მუჰამედ ალის. ამ ბრძოლამ მიიღო სახელწოდება „ჭექა-ქუხილი ჯუნგლებში“. მასში ფორმენმა კარიერაში პირველი მარცხი იწვნია.

1977 წელს ამერიკელმა კარიერა დაასრულა და ქრისტიანი მღვდელი გახდა. 1987 წელს რინგზე დაბრუნდა და 1994 წელს ისევ მოიპოვა ჩემპიონობა 45 წლის ასაკში, როცა ნოკაუტით დაამარცხა 26 წლის ჩემპიონი მაიკლ მურერი. ამით ფორმენი სუპერმძიმე წონის ისტორიაში ტიტულის ყველაზე ასაკოვანი მფლობელი გახდა.

საბოლოოდ კარიერა 1997 წელს, 48 წლის ასაკში დაასრულა. პროფესიულ რინგზე მან 81 ბრძოლა ჩაატარა, საიდანაც მოიგო 76 (68 – ნოკაუტით) და ხუთჯერ დამარცხდა.

# სვეტიცხოველს არაფერი ემუქრება

**სვეტიცხოველში გუშინწინ აღმოჩენილი პრობლემა უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრება და რეგულარულად გავრცელდება განახლებული ინფორმაცია.**

**„გვსურს, გამოვეხმაუროთ სატელევიზიო მედიაში გასულ სიუჟეტს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის სამხრეთ ნაწილში წყლის ინფილტრაციასთან დაკავშირებით“,** – ამის შესახებ განცხადებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

**„სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სააგენტო რეგულარულად ატარებს მონიტორინგს, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს.**

**წყლის ინფილტრაციის ფაქტის დაფიქსირებისთანავე სააგენტოს ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ ჩავიდა ადგილზე და სპეციალისტებთან ერთად შეისწავლა არსებული მდგომარეობა, გამოკვეთა ინფილტრაციის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები და დაგეგმა პირველადი გადაუდებელი ღონისძიებები.**

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება დაუშვებელია. ამდენად, მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან და დარგის სპეციალისტებს მუშაობის შესაძლებლობა მისცენ.**

**საზოგადოებას მოვახსენებთ, რომ სვეტიცხოველში აღმოჩენილი პრობლემა უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრება და აღნიშნულთან დაკავშირებით რეგულარულად გავრცელდება განახლებული ინფორმაცია“,** – წერია ინფორმაციაში.

# „აზდაკის ბაღს“ აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭება



**„ლევან მგალობლიშვილის გადაწყვეტილებით ინტეგრირებულ თეატრ „აზდაკის ბაღს“ აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭება,“** – ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

მათივე ცნობით, ვალერი არქანიას არტგალერეაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრ ბექა ღვაჩლიანთან ერთად, „აზდაკის ბაღის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორ გაჩო გაბრუაშვილს და დასის წევრებს შეხვდა.

**„დღეს მე უზომოდ ბედნიერი ვარ, ვინაიდან ჩემს გუნდთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება ინტეგრირებულ თეატრს, „აზდაკის ბაღს“ მიენიჭოს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის სტატუსი და ამ გადაწყვეტილებას ჩვენ აფხაზეთის მთავრობის უახლოეს სხდომაზე იურიდიულ ჩარჩოში მოვაქცევთ. ჩვენი ვალია, რომ ჩვენს ძვირფას და ნიჭიერ ახალგაზრდებს დავეხმაროთ ინტეგრაციაში.**

**რამდენიმე დღეში თეატრი 10 წლის იუბილეს აღნიშნავს და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ეს გადაწყვეტილება, სიმბოლურად ამ მნიშვნელოვან თარიღს დაემთხვა“,** – განაცხადა ლევან მგალობლიშვილმა. ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“ 2015 წელს დაარსდა და მისი დასი 20-მდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს აერთიანებს.

# თურქმა ექიმმა კიდევ ერთ ქართველს ოპერაცია უსასყიდლოდ გაუკეთა



**თურქმა ექიმმა, რომელმაც 16 წლის მარიამ კოხრეიძის ცხოვრება სრულიად შეცვალა, კიდევ ერთ ქართველს გაუკეთა ოპერაცია.**

ისტორია ზღაპარს ჰგავს. პატარა იოს თურქმა ექიმმა **ალტან ვაროლმა** ახალი სიცოცხლე აჩუქა. ექიმს არც ამ ოპერაციის შემთხვევაში არ აუღია ჰონორარი.

# ფინეთი მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყანაა!

## გაეროს მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, ზედიზედ მერვე წელია, მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყანა ფინეთი გახდა



**ბედნიერების გლობალური რეიტინგის სამეულში კიდევ ორი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყანა, დანია და ისლანდია მოხვდა. რეიტინგის ისტორიაში პირველად, ათეულში შევიდნენ კოსტა-რიკა (მე-6 ადგილი) და მექსიკა (მე-10 პოზიცია).**

გერმანიამ და რუსეთმა გააუმჯობესეს პოზიციები, გაუარესდა აშშ-ისა და უკრაინის მდგომარეობა.

რუსეთმა 66-ე ადგილი დაიკავა და თავისი პოზიცია ექვსი ხაზით გაიუმჯობესა. უკრაინა, რომელიც სამ წელზე მეტია ებრძვის რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიან სამხედრო შეჭრას, ერთი წლის განმავლობაში 105-ე ადგილიდან 111-ე ადგილზე დაეცა, – წერს Deutche Welle. **ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში საქართველო 91-ე ადგილზეა. ბოლო ადგილებზე ლიბანი, სიერა-ლეონე და ავღანეთი გავიდნენ.**



# ანტარქტიდაში უზარმაზარი აისბერგის ქვეშ მეცნიერებმა სიცოცხლე აღმოაჩინეს!

**მეცნიერებმა გიგანტური აისბერგის ქვეშ ცხოველთა სამყარო აღმოაჩინეს. მათ კვლევები 13 იანვარს დაიწყეს. საუბარია 39 კილომეტრის სიგრძის აისბერგზე.**

The Washington Post-ის ცნობით, კვლევითმა გუნდმა გადაწყვიტა ზღვის ფსკერის გამოკვლევა ახლად გამოვლენილ ზონაში. აქამდე არც ერთ ადამიანს არ გამოუკვლევია ღრმა ზღვის ეს ნაწილი.

აღნიშნულია, რომ თავდაპირველად მოლოდინი დაბალი იყო – მეცნიერებს არ ეგონათ, რომ ასეთი სქელი ყინულის საფარის ქვეშ მდიდარი სიცოცხლე შეიძლებოდა ყოფილიყო

მაგრამ ის, რაც ჯგუფმა იპოვა აისბერგის ქვეშ, მათი გაოცება გამოიწვია: გიგანტური ზღვის ობობები, რვაფეხები, ყინულის თევზები, მარჯნები და ღრუბლები, მათ შორის ვაზის ფორმის ღრუბელი, რომელიც შეიძლება ასობით წლის იყოს. მკვლევრები თვლიან, რომ შეძლებენ მეცნიერებისთვის ახალი ათობით სახეობის აღწერას.

**„ჩვენ ნამდვილად გაოცებულები ვიყავით, თუ რამდენად მრავალფეროვანი და მდიდარი იყო ეკოსისტემა აქ. მნიშვნელოვანია, რომ ეს აღმოჩენა არა მხოლოდ ადასტურებს, რომ სიცოცხლეს შეუძლია მიაღწიოს პლანეტის ყველაზე შორეულ კუთხეებს – მყინვარების ქვეშაც კი – არამედ მნიშვნელოვან მეცნიერულ საფუძველს იძლევა იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ღრმა ზღვის ეკოსისტემები გლობალური დათბობის პირობებში“,** – თქვა ერთ-ერთმა მეცნიერმა.

# წყალი სამყაროში დიდი აფეთქების შემდეგ წარმოიშვა?!

**ახალი კვლევის თანახმად, რომელიც Nature Astronomy-ში გამოქვეყნდა, წყალი სამყაროში პირველად დიდი აფეთქების შემდეგ რამდენიმე ასეული მილიონი წლის შემდეგ წარმოიშვა. ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლე სამყაროში შეიძლება მილიარდობით წლით უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ამას აქამდე მეცნიერები ვარაუდობდნენ.**

წყალი სიცოცხლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ათწლეულების განმავლობაში მეცნიერები ცდილობდნენ, დაედგინათ, თუ როდის გაჩნდა ის სამყაროში. ახალი კვლევის თანახმად ის დიდი აფეთქების შემდეგ ასიდან ორასი მილიონი წლის განმავლობაში გაჩნდა. ეს კი მილიარდობით წლით უფრო ადრეა, ვიდრე აქამდე იყო ნავარაუდევი.



კვლევაში აღნიშნულია, რომ თავიდან სამყარო მშრალი იყო, რადგან შედგებოდა ისეთი უბრალო ელემენტებისგან, როგორებიცაა: წყალბადი, ჰელიუმი, ლითიუმი. უფრო მძიმე ელემენტები პირველი ვარსკვლავების შემდეგ გაჩნდნენ.

**„პირობები, რომლებიც სიცოცხლის ფორმირებისთვისაა საჭირო, ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ჩვენ ეს აქამდე გვეგონა. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენს მიერ ადრეული სამყაროს შეცნობაში“,** – განაცხადა კვლევის თანაავტორმა **დენიელ უეილენმა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
С–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 26 მარტს**

# გილოცავთ „გაზაფხულის ქეთევანობას“ 24(11).03.2025



ქეთევანი | ketevánl
ႵႤႧႤႥႠႬႨ | Ketaon
ⴕⴄⴇⴄⴅⴀⴌⴈ | Gativanda
Κετεβάν | اشرفيا
Քեթեւան | كتاون
Katarin | ケテバン
Ketevan | केतेवन

**24(11).03.1575 26(13).09.1624**

**დაბადებიდან 450**

**მოწამებრივი აღსასრულიდან 400**

**400 YEARS FROM DEATH**
**AND 450 YEARS FROM BIRTH**

**2025 გამოცხადებულია „ქეთევან დედოფლის წლად“**

2025 „Year of the Queen Ketevan“



ქეთევან დედოფლის ხელრთვა
Queen Ketevan Signature




ანდრეას გრიფიუსი
„ქეთევან დედოფალი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“
Andreas Gryphius
"Catharina von Georgien - oder Bewehrete Beständigkeit" 1647



GEORGIA (Tbilisi, Mccheta, Alaverdi
SLOVAKIA (Bratislava Skalica)
INDIA (New-Delhi, Goa)
ITALY (Roma, Venecia)
IRAN (Tehran, Ashraf, Shiraz)
AZERBAIJAN (Ganja)
BELGIUM (Namur)
FRANCE (Paris)
GREECE (Athens)
IRELAND (Dublin)
ARMENIA (Erevan)
ENGLAND (London)
NETHERLANDS (Amsterdam)
SCOTLAND (Turriff, Aberdeenshire)
RUSSIA (Moscow, Sankt-Petersburg, Sergiev-Posad)
GERMANY (Berlin, Babenhausen, Freiburg)
ARGENTINA (Buenos Aires)
ETHIOPIA (Addis ababa)
PORTUGAL (Lisboa)
BULGARIA (Sofia)
UKRAINE (Livov)
JAPAN (Tokyo)
SPAIN (Madrid)
TURKEY (Ankara)
COLUMBIA (Bogota)
SWITZERLAND (Bern)
POLAND (Warsaw,Glogov, Vroclav)
UNITED STATES OF AMERICA (New York, Boston)




უილიამ ფორსაიტი
„წამება დედოფალ კელავანისა“
William Forsyth
„The Martyrdom of Kelavane“ 1861

**რუკაზე აღნიშნულია ადგილები, სადაც დადგენილია ქეთევან დედოფლის სახელის კვალი: მისი წმინდა ნაწილები და პირადი ნივთები, მასთან დაკავშირებული სიწმინდეები, ისტორიული წყაროები, სასულიერო და საერო მწერლობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგების ნიმუშები, სამეცნიერო შრომები.**

**On the map there are marked places where are found traces of the name of Queen Ketevan: her holy relics and personal belonging, holy items related to her, historical sources, theological and secular writings, works of various fields of art, scientific works.**

ქეთევან დედოფლის საზოგადოება QUEEN KETEVAN SOCIETY